№ 121

სამშაბათი, 19 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 121

სამშაბათი, 19 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად. **ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5. **საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

დოქტორი მედიცინისა

ვლ. ი. ინაშვილი

მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე შიგნეულის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ.

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 31. (10—7)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

დიდმნიშვნელოვან საქმის გამო

მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო, რომ ჩვენს პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სწავლება დედაენაზე სწარმოებდეს. აღსრულდა დიდის წამების შემდეგ ის საანბანო ჭეშმარიტება, რომელიც პედაგოგიაში შეურყეველ ქვაკუთხედადაა მიჩნეული. ძლივს და ქართველ ერს გადაუგდეს ნამცეცი იმ უფლებისა, რომელიც მის ხელშეუხებელ კუთვნილებად უნდა აღიარებულიყო უკანასკნელ საუკუნეშიაც კი.

პირუტყვი რაა, მაგრამ მასაც კი ჰქონდა სრული უფლება თავის გულში ნადები „თავისებურად" გამოეხატა; ჩვენ კი, ჩვენდა სამარცხვინოდ, ამ უფლებასაც მოკლებულნი ვიყავით ასის წლის განმავლობაში. მაგრამ ამ ბოლო დროს წინანდელი მტკიცე ნიადაგი შეერყა პოლიტიკანობას და დღეს ჩვენ შეძლება გვეძლევა, წინანდელთან შედარებით, ცოტათი უფრო ნორმალურად ვაწარმოვოთ ხალხის განათლების საქმე, თუ კი, რასაკვირველია, მოპოებულის უფლებით ღირსეულად ვისარგებლებთ.

დედა-ენაზე სწავლების წარმოებას მხოლოდ მაშინ შეუძლიან სათანადო ნაყოფის გამოღება, როცა თვით სწავლების საქმე და ორგანიზაცია სავსებით შეთანხმებული იქმნება პედაგოგიის სხვა საფუძვლიან მოთხოვნილებასთან, როცა სწავლების რთულის შენობის თითოეული შემადგენელი აგური მჭიდროდ და ორგანიულად შეკავშირებული იქმნება ერთი-მეორესთან.

დიაღ, სწორედ ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი, მშობლიურ ენაზე სწავლის წარმოებამ ჭეშმარიტი ნაყოფი გამოიღოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიცვლება მხოლოდ სწავლების გარეგანი ფორმა, შინაარსი-კი ისევ ძველებურად დახავსებული დარჩება, რაიცა საქმის ნორმალურად წარმოებას ოდნავადაც ხელს ვერ შეუწყობს.

დღეს, როცა პირველდაწყებით სასწავლებელში დედა-ენაზე სწავლება ნებადართულია, ჩვენი უმთავრესი ყურადღება უნდა იქმნეს მიმართული იმისაკენ, რომ თვით სწავლების გეგმა და ორგანიზაცია ნორმალურად მოვაწესრიგოთ, ნორმალურ პირობებში ჩავაყენოთ, თანახმად თანამედროვე პედაგოგიის მოთხოვნილებისა.

კავკასიის ნამესტნიკს უკვე მიუწერია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის, რომ „მან შეადგინოს ცალკე საბჭო პირველ-დაწყებით სკოლების სამოსწავლო გეგმის შესამუშავებლად. საბჭოში მონაწილეობა უნდა მიიღონ ქართველმა, სომეხმა და თათარმა მასწავლებლებმა. ამ კრების დადგენილება კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს უნდა მოხსენდეს, რომ მომავალ წელს მეცადინეობა შემუშავებულის გეგმის თანახმად დაიწყონ".

ამნაირად, კავკასიის ოლქის მზრუნველს ევალება, სულ მოკლე ხანში შეადგინოს საბჭო პირველ-დაწყებით სკოლების სამოსწავლო გეგმის შესამუშავებლად და ამ საბჭოში მოიწვიოს ქართველი, სომეხი და თათარი მასწავლებლები. მზრუნველის-მიერ შედგენილ საბჭოს დადგენილებას, ყოველს ეჭვს გარეშე, კავკასიის უმაღლესი მთავრობა დაადასტურებს და ამრიგად გადაწყდება, თუ საბოლოოდ არა, დიდის ხნით მაინც, ის დიდმნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც ხალხის პირველ დაწყებით სწავლების საქმეს ეძახიან.

მზრუნველის საბჭოს დადგენილება დიდმნიშვნელოვან აქტად გადაიქცევა ხალხის პირველ დაწყებით სწავლების მოწესრიგების საქმეში და ამიტომ ეს დადგენილება მეტად ფრთხილად და საქმის ყოველის მხრით განსჯისა და გათვალისწინების შემდეგ უნდა მოხდეს. იგი სავსებით შეფარდებული უნდა იყოს თანამედროვე პედაგოგიის ჭეშმარიტ მოთხოვნილებასა და თვით იმ ხალხის აუცილებელ საჭიროებასთან, რომლისათვისაც განზრახულია ეს ახალ საფუძველზე აგებული პირველდაწყებითი სასწავლებლები.

მზრუნველის საბჭოს წევრებად კავკასიის ნამესტნიკის მოწერილობაში ნაჩვენებია მარტოოდენ „ქართველი მასწავლებლები". ჩვენ ვშიშობთ, რომ განზრახულ საბჭოს ამრიგად შეზღუდვა საქმის საზიანოდ დაბოლოვდება.

უკეთუ მზრუნველმა მოიწვია საბჭოს სხდომებზე მხოლოდ პირველდაწყებით სასწავლებლების მასწავლებლები, საქმე ცალმხრივად გადაწყდება, რადგან ჩვენის პირველდაწყებით სასწავლებლების მასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში სრულიად მომზადებულნი არ არიან იმისთვის, რომ ასეთ დიდ საქმეს საბოლოო მსჯავრი დასდონ. ესეც არ იყოს, დღეს-დღეობით ყველასაგან დავიწყებული და აბუჩად აგდებული სოფლის მასწავლებელი თავის აზრს გაბედულად ვერ გამოსთქვამს მზრუნველისა და ან სხვა მის მაგიერ უფლებით მოსილის წინაშე და ამრიგად საქმის სამართლიან გადასაწყვეტად სასწორი შეირყევა.

ამიტომ განზრახულ საბჭოში მიწვეულ უნდა იქმნენ, პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებელთა გარდა, სხვა სასწავლებლების ახლანდელი და ყოფილი მასწავლებელნი, რომელთაც პირველდაწყებითი სწავლების საქმე პრაქტიკულად და თეორიულად შესწავლილი აქვთ. მზრუნველის განზრახულ საბჭოს კრებებზე აგრეთვე მოწვეულ უნდა იქმნენ ჩვენის ქვეყნისა და ხალხის საჭიროებათა მცოდნენი, არა-პედაგოგნიც.

მხოლოდ ასეთს კრებულს შეუძლია ღირსეულად შეიმუშაოს განახლებულ პირველ-დაწყებით სკოლების სამოსწავლო გეგმა, რომელიც უთუოდ შეთანხმებული იქმნება, როგორც პედაგოგიის ჭეშმარიტს მოთხოვნილებასთან, აგრეთვე ხალხის აუცილებელ აწინდელ საჭიროებასთანაც.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ძლიერ ვეჭვობთ, რომ მარტოოდენ „სოფლის მასწავლებლებმა" ზნეობრივად თავს იდონ ისეთ დიდ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა, როგორიც არის ხალხის პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება.

ა. მიქაბერიძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

18 ივლისი.

გლაზგო, 16 ივლისი. კონსერვატორების შოტლანდიელი კანდიდატები ლონდონის ცენტრალურმა ბიურომ გააფრთხილა, ოქტომბრის დამლევს საერთო არჩევნებისათვის მოემზადეთო.

ლონდონი, 16 ივლისი. „მორნინგ პოსტი" არჩევს გაზ. „რეიხსბოტეს" შენიშვნას, რომ რაკი ინგლისის ესკადრა ბალტიის ზღვაში სავარჯიშოთ შემოსვლას აპირებს, დროა ამ ზღვაში უცხო გემების სიარული სრულებით აიკრძალოსო. გერმანია ბალტიის ზღვაში პატრონად უნდა იყოსო. „მორნინგ-პოსტი" ამბობს, „ამის დამწერი თუ მართლა გერმანიის წარმომადგენელია, ჩვენთან შებრძოლებას მოინატრებია და, რაც მალე მოხდება შეტაკება, ის სჯობიაო. გაზეთს ცნობა მოჰყავს იმის შესახებ, რომ გერმანიის ესკადრას წინად ირლანდიის და ინგლისის ნაპირებთან სავარჯიშოდ უვლიაო, და ამბობს, ბალტიის ზღვა გერმანიისა ხომ არ არისო. ჩვენს დროს,

ფელეტონი

ქურდი

კომედია 1 მოქმედებად, ოქტავ მირბოსი *)

მომქმედნი:

ქურდი ◆ მსახური
გაქურდული ◆ პოლიციელი

სცენა—მშვენივრად მორთული და მოწყობილი სასტუმრო ოთახი. მარჯვენივ კარები საწოლ ოთახში, მარცხნივ ბუხარი, ზედ მშვენიერ ხელობის საათი, ორი ძვირფასი ვაზა (მაღალი ბადია). სცენის სიღრმეში დიდი ფანჯარაა, რომელიც აივანზე გადის; შუა სცენაზე დიდი მაგიდაა და ზედ ძვირფასი სამწერლო ნივთები და სამკაული აწყვია. მარჯვნივ წითელი, ხისაგან გაკეთებული ყუთ-სალარო—შუშაბანდიანი შკაფი, შიგ მრავალი ძვირფასი ნივთები, ძველებური ფულები და ოქრო-ვერცხლეულობაა. მარცხნივ სდგას მაღალი შკაფი. კუთხეებში ტუმბეებზე აწყვია ძვირფასი ვაზები, კედლებზე სურათები, საუცხოვო ჩარჩოებში ჩასმული, პატარა დივანი, სკამები და სავარძლები. ყველაფერს სიმდიდრე და შნო ეტყობა. იატაკზე მდიდრული ხალიჩაა და სხვა.

I

ფარდის აწევის დროს სცენაზე სრულებით ბნელა. ფანჯრიდან, რომელიც ჩამოფარებულია ძვირფასის ფარდით, ოდნავი სინათლე მოსჩანს. საათი დაჰკრავს დილის ხუთ საათსა. უეცრივ ფანჯრის უკან მოისმის ფრთხილი ხმაურობა და აივნიდან გამოჩნდება ორი კაცის ლანდი, მერე გაისმის გაჭრილ შუშის ხმა, შუშა ხალზე დაეცემა. ორივე ლანდი მყისვე გაშეშდებიან, ცოტა ხნის შემდეგ გამოჭრილ შუშიდან გამოიყოფა ხელი და გააღებს ფანჯრის დასაკეტს. ფანჯარა გაიღება. შემოდის საუცხოვოდ მორთული ვაჟკაცი ცილინდრით, ძვირფასს ქურქში, მას აცვია ფრაკი და თეთრი ყელსახვევი აქვს გაკეთებული. მას უკან მოსდევს გემოვნებით მორთული მსახური, რომელსაც ხელში ყვითელი კოხტა გვადრუცი (ჩემოდანი) უჭირავს.

ქურდი. ძალზე კი გაეისარჯეთ! (აქეთ-იქით იხედება, შუშის ნატეხს აიღებს იატაკიდან) საბედნიეროდ, შუშა ხალზე დაეცა და არავითარი ხმაურობა არ იყო, არავის არაფერი გაუგია!

მსახური (მიდის უფრო წინ). ეგ კიდევ ღმერთმა უწყის! შიშით მუხლები მეკეცება!

ქურდი. რა საშინლადა ბნელა!

მსახური. ჩვენი პაწია ფარანი ავანთოთ?

ქურდი. საჭირო არ არის! აქ ხომ ელექტრონის სინათლე უნდა იყოს... (აქეთ-იქით იხედება) მოითმინე! თუ არ ვცდები, მარცხნივ ბუხარი უნდა იყოს.

მსახური. გეგმაზე სწორედ მარცხნივ არის და აქ კი მარჯვნივ უნდა იყოს!.. (ხელების ფათურით წინ მიდის).

ქურდი. მოიცა... მოიცა! (ფეხის თითებით წინ მიდის და ხელებს აპოტინებს). ფრთხილად იყავ, არაფერს არ წამოედო, იქ ბევრი ნივთები და ავეჯია.

მსახური. ნეტავ ისევ ტყეში აგვრეოდა გზა, ვიდრე აქა (მიაღწევს ბუხარს). აჰა, აგერ ისიც!

ქურდი. ვინა?

მსახ. ბუხარი!

ქურდი. ჰო და სწორედ ბუხართან ელექტრონის ღილი უნდა იყოს. აბა აანთე!

მსახ. ნეტა არ გეშინიათ ხოლმე?

ქურდი. სრულებითაც არა! აბა, დატრიალდი ჩქარა! (მსახური ელექტრონის ღილს დაატრიალებს. მაშინათვე ჭაღი აენთება. ორნივე გარშემო იხედებიან. მსახური კანკალებს. ქურდი კი, ეტყობა, კმაყოფილია) რა საუცხოვო მორთულობა და მოწყობილებაა!.. მეც სწორედ ასე მქონდა წარმოდგენილი.

მსახ. (უეცრივ შეკრთება და მარჯვენა კარებზე უჩვენებს) გესმით.. გესმით?..

ქურდი. რა იყო?

მსახური. ნუ თუ არაფერი არ გესმით! (ორივენი ყურს უგდებენ. სიჩუმეა).

ქურდი სულელობ!.. მოგელანდა.

მსახ. ოჰ, ნეტავი კი უხიფათოდ გადავრჩეთ და...

ქურ. კარგია, დატრიალდი. ეგ გვადრუცი სავარძელზე დასდე! (ყურს უგდებს კარებთან) ისე მაგრად სძინავს, რომ ხვრინავს კიდეც!

მსახ. ხვრინავს? ოჰო, და მეც სწორედ მაგ ხვრინვას მოვკარ ყური!

ქურ. აბა, საქმეს შევუდგეთ! (საათს უყურებს). ექვსის ნახევარია; დრო ცოტა გვაქვს!

მსა. საქმე კი ბევრი გვექნება!

ქურდი. თითქო განგებ, კლუბში ჩვეულებრივზე მეტ დროს დავრჩი!

მსახური. მერე რა გინდათ იმ ოხერ კლუბში, როცა ბედი არ გწყალობთ? მუდამ აგებთ და აგებთ!.. ეჰე, თქვენ რომ წინდახედული იყოთ...

ქურდი. შენ ფიქრი ნუ გაქვს: ჩვენ ახლავე გამოვასწორებთ ჩვენს საქმეს...

მსახური. თქვენ რომ წინდახედული ბრძანდებოდეთ, რაღა გაგიჭირდებათ... ფულიც ბევრი გექნებოდათ და იქნებოდით თქვენთვის უდარდელი და ამ უბედურ ხელობასაც სამუდამოდ ასცდებოდით...

ქურდი. არა, ჩემთვის მყუდრო ცხოვრება ჯერ უდროულია. ჯერ ახალგაზდა ვარ, სიცოცხლით სავსე!..

მსახური. (ოხვრით) მაშ ახლა რაღა ვქნათ? საქმეს შევუდგეთ, რაღა?

ქურდი. ფრთხილად, დინჯად! ნუ აღელდები. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სრული სიმშვიდე და აუჩქარებლობა. დიაღ... დიაღ... (ამოიღებს ჯიბიდან რევოლვერს და მაგიდაზე დასდებს) თავდაპირველადა ეგ იარაღი აქ იყოს!

მსახური. ისე არაფერი მეჯავრება, როგორც მაგისთანა იარაღი! (ამოიღებს ჯიბიდან რამდენსამე უჯრის გასატეხ იარაღს, ხოლო გვადრუციდან რკინის ჯოხს) ეგეც ასე იყოს—დაგვჭირდება.

ქურდი. ყოჩაღ! აბა, ახლა შენ იცი! სწრაფად და მარდად!.. (იხედება) გახსენი, აი, ეს უჯრა და, რაც რამ ძვირფასი იყოს, ყველაფერი გვადრუცში ჩაალაგე! (მოიხდის ქურქს) მე ახლავე ამას დავათვალიერებ (მოუჯდება მაგიდას და ჩუმად უჯრებს აღებს სხვადასხვა რკინებით, რომლებიც თურმე ჯიბეში ეწყო. მუშაობს და თან ლაპარაკობს) თუ ჩემი კორესპონდენტი არა სტყუის, აქ ისეთი თანხა უნდა იყოს, რომ სიბერის დროს, შეიძლება, პატიოსან კაცად გავხდე!

მსახური. (ალაგებს ძვირფასს ნივთებს და ძველ ფულებს) იყიდი შენთვის სახლს სოფელში.. სახლის წინ პატარა ბაღჩა!.. რა კარგი სიზმარია! მერე, სოფელში საღამოობით წამოჯდებოდი შენს აივანზე.. ან კიდევ კაკლის ქვეშ... უზრუნველი, უდარდელი... მერე ეკლესიაში მნათედ ამოგირჩევენ... პატივი.. დიდება! . ეჰ, ეჰ, ეჰ!

ქურდი. (ამოიღებს უჯრიდან სარგებლიან ბილეთებს და აწყობს მაგიდაზე) ოჰო, რუსული მომგებიანი ქაღალდებიც — ავსტრო-უნგრეთის რენტა,—ესპანიის პროცენტიანი ბილეთები. იტალიის რენტა, აქციები, ტრამვაის აქციები (აწყობს ყველას მაგიდაზე). მერე დავთვლით!

მსახური. (იპოვნის უჯრაში წერილებს) ეჰე, წერილები! (დაყნოსავს) ალბად ქალებისაგან იქნება! იჰ, იჰ! რა კარგა ყარს!

ქურდი. რა ბრიყვი რამა ხარ! თავი დაანებე წერილებს!

მსახური. ამ წერილებითაც შეიძლება ფულის დატყუება!

ქურდი. დადე-მეთქი, ეგ წერილები! ეგ სივაგლახეა! ხომ იცი, მე ისე არა მეჯავრება-რა, როგორც გაიძვერულად ფულის დატყუება—ეგ სიღუხჭირეა. ჩვენ ჩვენს თავს და ღირსებას არაოდეს არ უნდა ვღალატობდეთ და მუდამ კეთილშობილი უნდა ვიყნეთ! აჰა, გამომართვი!

მსახური (გამოართმევს ქაღალდებს)

ქურდი. გვადრუცში შეინახე და წვრილი ფული კი შენ გქონდეს! (აძლევს რამდენსამე ოქროსა და ვერცხლის ფულს, რომლებიც უჯრიდან ამოიღო).

მსახური. გმადლობთ, ბატონო! ღმერთია მოწამე, რომ თქვენ ნამდვილი კეთილშობილი ბრძანდებით.

ქურდი (აიღებს მაგიდიდან ნაკვთს—სტატუეტკას). რა მშვენიერებაა! (დაჰყურებს, როგორც მცოდნე და მოყვარული) საუცხოვო რამ არის, აბა, ჩაუძახე გვადრუცში! გეთაყვა, ფრთხილად! ერთი უყურე, რა მშვენიერი სათუთუნეა! (შინჯავს პორტსიგარეტს) რა მშვენიერი ხელოვნებაა! ეჰე, რა დროება იყო წინად! ჩვენსას არა ჰგავს—ახლანდელი ბევრად ჩამოუვარდება ყველაფერში (წამოდგება). მართლაც და საუცხოვო ნივთები ჰქონია! ტყუილი კი არ უთქვამთ ჩემთვის! (დადის ოთახში, ათვალიერებს საათს ბუხარზე). რა მშვენიერი საათია! საოცარი ძველებური ხელოვნებაა! აბა ერთი შეხედე, ნამდვილი ანტიკაა! იცი, ჩემის სიკვდილის შემდეგ ამ ძვირფასს ნივთებს ჩვენს სახელმწიფო მუზეუმს ვუანდერძებ! აბა, გვადრუცში ესეც!

მსახური (გამოართმევს საათს).

ქურდი. თვით სახლის პატრონი სწორედ დიდი გემოვნების კაცი უნდა იყოს. სწორედ გითხრა, მომწონს ასეთი კაცი! ეხუმრები განვითარებულ გემოვნებას!

მსახ. უნდა დაეუჩქაროთ, თორემ, საცაა, ექვსს დაჰკრავს.

ქურდი. მართლა! დიაღ, ავჩქარდეთ! (უნდა გააღოს შკაფის უჯრა, მაგრამ ვერ აღებს, უფრო მაგრად ეწევა, ზედ დაწყობილი ვაზა ჩამოვარდება და გატყდება, ხმაურობაა) ვაჰიმე!

მსახური. ვუიმე! (თავსბრუ ეხვევა).

ქურდი. აი დალახვროს ეშმაკმა! (ყურს უგდებს).

მსახური. (თანდათან უფრო კანკალებს) ჩუმად... სუ... ჩუმად!

ქურდი. რა იყო?

მსახური. იქ ვიღაც დადის! საწოლ ოთახში ფეხის ხმა მესმის...

ქურდი. ჩუმად! ხმა, კრინტი! (სიჩუმე) არავინ არის!

მსახური. დადის!.. დადის!.. დადის!..

ქურდი. მე არა მესმის-რა!

მსახური. მე კი მესმის! ბატონო! გარწმუნებთ, ვიღაც დადის, წავიდეთ!.. დავიკარგოთ მალე! (უნდა გაიქცეს).

ქურდი. დასწყევლა ეშმაკმა! შენ მართალი ხარ! აბა, ჩააქრე მალე! (უნდა გაიქცეს, მაგრამ იმ წუთში მარცხენა კარი გაიღება და იქიდან პერანგის ამარა კაცი გამოჩნდება).

მსახური. გვიანღაა! გავებით! ღმერთო ძლიერო!

ქურდი (გამოერკვევა და რიხით) შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა! უწინარეს ყოვლისა, კეთილშობილური რიხი და ფხა! (გაქურდული კარებში სდგას).

II

ქურდი. (კოხტად რამდენსამე ნაბიჯს გადასდგამს სახლის პატრონისკენ და ზრდილობიანად თავს უკრავს) დილა მშვიდობისა!

გაქურდული. იმედი მაქვს... ხომ არაფერს გიშლით!

ქურდი. (ზრდილობიანად) ოჰ, რა ბრძანებაა!

გაქურდ. მეტად სასიამოვნოა!

ქურდი. ბატონო ჩემო, იქნება შემოსვლა ინებოთ!

გაქურდ. დიდად მავალებთ! (ორიოდე ნაბიჯს წინ გადადგამს).

ქურდი. ღვთის გულისათვის, მაპატიეთ, რომ ჩემის უხერხულობით ძილი დაგიფრთხეთ, მაგრამ, მერწმუნეთ, მარტო ჩემი ბრალი როდია! თქვენ ისეთი იშვიათი და ნაზი ნივთები გქონიათ, რომ ოდნავ ხელის მიკარებით მაშინათვე გულს ეყრებათ—ძირს ცვივდებიან... მგონი თქვენი ნივთებიც ძალზე ნერვებ-აშლილი უნდა იყოს, როგორც ყველა ჩვენთაგანი ამ ნერვებიან ხანაში.

გაქურდ. მართალსა ბრძანებთ, ეგ ნივთები მეტად ნაზი გახლავთ, რადგან ძველებურია და მეტად ძვირფასებიც...

ქურდი. ჰო, მაგაში გეთანხმებით, სრულს ჭეშმარიტებას ბრძანებთ.

გაქურდ. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) უკაცრავად, ვისთანა მაქვს პატივი...

ქურდი. გარწმუნებთ, თქვენ ძალზე გაოცდებით, თუ ეხლა ჩემი ვინაობა, ჩემი სახელი და გვარი შეგატყობინეთ!

გაქურდ. ნუ შესწუხდებით... მე არც ისე

---

*) ოქტავ მირბო (Octav Mirbeau) საფრანგეთის ცნობილი მწერალია—რომანისტი და ჟურნალისტი; დაიბადა 1850 წელს. ახალგაზდობიდანვე მრავალს ჟურნალ გაზეთებში თანამშრომლობდა, განსაკუთრებით კი „Figaro"-ში, მაგრამ იძულებული შეიქმნა ხელი აეღო ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობაზე თავისის უკიდურესის—ცალმხრივის მიმართულებისა გამო მსახიობთა-„კომენდიანტთა" წინააღმდეგ, რომელთაგან მრავალგზის ხმალში იყო გამოწვეული და დაჭრილი კიდეც. ბოლოს დროს სცენას და მის ქურუმებს შეურიგდა და დრამებისა და კომედიების წერა დაიწყო, რამაც ჟურნალისტსა და რომანისტზე არა ნაკლები სახელი მოუხვეჭა; მეტადრე გაითქვა მისი უკანასკნელი პიესა „Les faire son les affers", რომელიც ქართულად შარშან ვლ. ლორთქიფანიძემ გადათარგმნა და დაიდგა კიდეც ქართულ სცენაზე „საქმის კაცის" სახელით,

როდესაც ასეთი საშინელი ზარბაზნებია გამოგონილი, როდესაც ყველა გადამეტებულს მოითხოვს თავისთვის, ინგლისის საზოგადოება თავის ჩვეულებრივ გონიერებას არ ულალატებს. საჭირო ბალტიის ზღვაში ახლავე თორმეტიოდე ახალი ჯავშნიანი გემი გაიგზავნოს. საზოგადოდ ინგლისის ხალხი მეტად აღელვებულია. ბიორკში ორ ხელმწიფის შეხვედრაზე სხვადასხვა ხმები ვრცელდება. ამბობენ, გერმანიის იმპერატორმა უნდა აუკრძალოსო ბალტიის ზღვაში შესვლა ყველა უცხოელ გემებს, რომ ამ ზღვაში მხოლოდ მოსვლა გერმანიის, რუსეთის და სკანდინავიის გემებს შეეძლოს სიარულიო. ამბობენ, რუსეთს ნორვეგიის ერთი ფიორდი გადაეცემაო. ინგლისში საფრანგეთის ფლოტის მოსვლის გამო დიდი კონტრ-დემონსტრაცია გამართეს.

პეტერბურგი. ჟანდარმთა ცალკე კორპუსის უფროსის თანაშემწე გენერალ-მაიორი ბარონი ფონ-მედემი დააყენეს მოსკოვის გრადონაჩალნიკად.

ბაზელი, 15 ივლისი. სიონისტების დღევანდელ კრებაზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ინგლისის წინადადებამ სიონისტებს, რომ თავიანთ მიზნებისთვის აღმოსავლეთ აფრიკაში უგანდას მხარე აიღონ. ზანგვილი ამტკიცებდა, უგანდაზე უარი უნდა განვაცხადოთ და ინგლისის მთავრობას სხვა ადგილის მიცემა უნდა ვთხოვოთო.

ტანჟერი, 16 ივლისი. სულთანმა ერთ გერმანელ ფირმას წინადადება მიიღო და ტანჟერში ერთ მილიონ ორასი-ათას ფრანკად ღირებული გზები უნდა გააყვანინოს. ინგლისელების და ფრანგების წინადადებაზე კი არ დასთანხმდა.

ქრისტიანია, 16 ივლისი. სტორტინგმა ერთხმად მიიღო წინადადება იმის შესახებ, რომ ხალხს მიეცეს გადასაწყვეტად საკითხი უნიის გაუქმების შესახებ. ერთხმადვე განაცხადეს უარი კდეგე ხილესის წინადადებაზე,—პლებისციტი მოეხდინოთო სახელმწიფოს მომავალ წეს-წყობილების შესახებ.

კალიში, 16 ივლისი. კალიშის გზაზე ხმარებაში უკანონოდ შემოღებული პოლონური ენა აიკრძალა. ხმა დადის, ნება-დართული არისო სადგურების სახელები ორ ენაზე დაიწეროსო. რკინის გზის მოსამსახურეებს ერთმანეთში პოლონურად ლაპარაკის ნება დაერთო, აგრეთვე უფლება მიეცათ მგზავრებს პოლონურადვე გასცენ პასუხი, როდესაც ვინმე პოლონურად დაელაპარაკება.

როსტოვი-დონზე, 16 ივლისი. როსტოვის ხაზინიდან ვიღაც უცნობ კაცს ყალბ ქაღალდით 50,000 მანათი გაუტანია.

მოსკოვი, 16 ივლისი. საერობო სამაზრო კრების თავმჯდომარემ კრების გუშინდელ სხდომის გამო, რომელზედაც ხალხის წარმომადგენელთა საკითხი გადაწყვეტილა, თავის მხრივ კერძო აზრი წარადგინა. ჩემის მხრივ ვფიქრობ, ამ წარმომადგენლებს მხოლოდ სათათბირო და არა გადამწყვეტი ხმა უნდა მიეცესო.

მოსკოვი, 16 ივლისი. უმაღლეს საკომერციო კურსების დაარსება მოსკოვში ერთის წლით გადაიდო.

ვარშავა, 16 ივლისი. ტეხნიკების საზოგადოება კერძო გიმნაზიას აარსებს სტაშიცის სახელობაზე.

კალუგა, 16 ივლისი. ქალაქის საბჭოს ყოველ თვიურ ჟურნალის გამოცემის უფლება მისცეს.

კრონშტადტი, 16 ივლისი. დღეს დილის 4 საათზე ყინულის მჭრელი გემი „ერმაკ" ჩრდილოეთ ზღვების გამოსაკვლევად კაპიტან ფელდმანის უფროსობით წავიდა.

ათინა, 17 ივლისი. საზღვაო მინისტრი ბუდურისი დაინიშნა სამხედრო მინისტრად, დოლიანისი—საზღვაო მინისტრად.

მოსკოვი, 17 ივლისი. ქალაქის თვითმმართველობის წლევანდელმა ხარჯთ აღრიცხვამ ორი მილიონით იმატა, რადგან კიევ-ვორონეჟის რკინის გზამ ქალაქს მიწები აიღო და მილიონ ნახევარი მისცა.

სიმფეროპოლი, 17 ივლისი. მოსულ მუშათა შორის გავრცელებულია სახადი.

ტომსკი, 17 ივლისი. გაზეთები გამოვიდა.

მოსკოვი, 17 ივლისი. მოსკოვის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ ნიჟეგოროდის ბაზრობა, მიუხედავად მომხდარ ამბებისა, მაინც გაიმართება და ჩვეულებრივადაც ჩაივლისო. ამ დღეებში ბევრი მოსკოველი ვაჭარი მიდის ამ ბაზრობაზე.

კიევი, 16 ივლისი. სამეურნეო საზოგადოებამ ცენტრალურ მაზრიდან პროექტი მიიღო. პროექტი მეურნეობის განვითარებას შეეხება და უცხოეთის ფირმებთან დამოკიდებულებას არკვევს.

სევასტოპოლი, 16 ივლისი. „პრუტ"-ზე აჯანყების გამოძიება დასრულდა. სევასტოპოლის სამხედრო სასამართლო ამ საქმეს 20 ივლისს გაარჩევს. სასამართლოში 44 მეზღვაურია მიცემული.

მოსკოვი, 17 ივლისი. 24 აგვისტოს სამოსამართლო პალატა, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, პოლტარაცკისა და ვოლკოვის საქმეს გაარჩევს. ამათ ნიკოლაევის ვოგზალზე ტრეპოვის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებათ.

ხარკოვი, 17 ივლისი. საგარაკო მატარებელი მომავალ ორთქლმავალს დაეჯახა. ორივე ორთქლ-მავალი და ორი ვაგონი დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა.

სტამბოლი, 17 ივლისი. ყუმბარის სროლის გამო პოლიციის წრეებში ამბობენ, რომ დამნაშავე სომხებში უნდა ვეძებოთო, სხვა წრეები კი არწმუნებენ, რომ დამნაშავე ოსმალო უნდა იყოსო. ტახტის ორივე მემკვიდრეს მცველები მოუმატეს.

ბენდერი, 17 ივლისი. ინჟინერი ბარანოვსკი მოვიდა დნესტრზე გადასაქანის გასასუფთავებლად. ხაზინას ამისათვის მიწის ამოსაღები ახალი მანქანები შეუძენია.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

17 ივლისი

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. კომურას მდივანმა სატომ განაცხადა, ზავი შეუძლებელია, სანამ რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულნი არ გაიცნობენ, თითოეული მათგანი რა უფლებით არის აღჭურვილიო. სატოს სიტყვით, პორტ-სმუტში კონფერენცია დიდხანს გასტანს, თუ ვიტტეს ფართო უფლებანი არა აქვს და მისი გარდაწყვეტილება რუსეთისთვის სავალდებულო არ იქნებაო.

ნიუ იორკი, 16 ივლისი. იაპონელების აზრით, პორტ სმუტში მოლაპარაკება იმ გვარადვე მოხდება, როგორც თავის დროზე სიმონოსეკის კონფერენციაზე მოხდა. როგორც იაპონელები ჰფიქრობენ, პირველ დღეს ორივე მხარე გაეცნობა ერთი-ერთმანეთის უფლებებს. თუ ვინიცობაა, ვიტტეს არ ექმნება უფლება ყოველგვარ ხელშეკრულობას ხელი მოაწეროს, მაშინ მის რწმუნებულობას არ მიიღებენ, როგორც ეს ლიხუნგჩანგს უყვეს, და თუ ვიტტეს უფლებები საკმაო იქმნება, მაშინ იაპონელები თავის მოთხოვნილებებს წერილობით წარადგენენ. იაპონელების მოთხოვნილებებს რომ მიიღებენ, რუსის დელეგატები წავლენ და რამდენისამე დღის განმავლობაში ითათბირებენ, შემდეგ თავის პასუხს შეატყობინებენ. ამგვარად, მოლაპარაკება იქნება წერილობითი ნოტებით. იაპონელები ჰფიქრობენ, კონფერენცია თვეზე მეტს გაგრძელდებაო.

გოძიადანი, 16 ივლისი. სტერკამპსკის ყელზე იაპონიის ჯარის გადასვლის შემდეგ, იაპონიის ორი კონტრ-ნაღმოსანი მიუახლოვდა 4 ვერსზე დეკასტრის პოსტს და ზარბაზანი დაუშინა. ჩვენს რაზმს გვერდზე შემოვლისა შეეშინდა და უკან დაიხია. საღამოს 9 საათზე იაპონელებმა დეკასტრი დაიჭირეს.

ვლადივოსტოკი, 16 ივლისი. ჩინელები სლავიანსკში მიდიან, იქიდან ნიანძინ-ჩიფუში. ამ რაიონში ხუნხუზები მოქმედობენ. ივლისის პირველ რიცხვებში ხუნხუზებმა გააჩერეს 70 ჩინელი და ერთი რუსი. რუსი და 10 ჩინელი მოკლეს, დანარჩენი გაძარცვეს.

გოძიადინი, 16 ივლისი. 10 ივლისს მარცხენა ფრთაზე ერთი ჩვენი რაზმი გავიდა და სამხრეთისკენ გასწია. საღამოზე განგულინის უღელტეხილში იაპონელებსა და ხუნხუზებთან შეტაკება მოუხდათ. 11 ივლისს რაზმი წინ გაემართა და მტერს ისევ შეეჯახა. 12 ივლისს გზას ასწორებდნენ. 13-ს რაზმი სიაოჩენისკენ გაემართა და გზა და-გზა მტერს თოფს ესროდა და უკან-უკან ახევინებდა. დილის 11 საათზე აღმოაჩინეს იაპონელების ორი ბატალიონი. საღამოს 6 საათზე თხრილები იერიშით აიღეს და 7 იაპონელი დაატყვევეს. გზაში იპოვნეს ერთი იაპონელი აფიცერი. მეორე დღეს მტერს ჯარი მოეშველა. ჩვენი რაზმი ჩრდილოეთისკენ წავიდა.

სიტიაზა, 16 ივლისი. როგორც ამბობენ, იაპონელების იალუჯანის არმიას საარტილერიო და საინტენდანტო მასალა მოსდის სამხრეთიდან რკინის გზით. ამ დღეებში კაიჯიანიდან აქ გაიარა საარტილერიო ტრანსპორტმა.

ვლადივოსტოკი, 16 ივლისი. განუწყვეტელი წვიმა მოდის.

პარიზი, 16 ივლისი. რუზველტი მიიღებს როგორც რუსისა, ისე იაპონელთა რწმუნებულთ 5 აგვისტოს ახალის სტილით.

ტოკიო, 17 ივლისი. იაპონელები 14 ივლისს სახალინზე წინ მიიწევდნენ და რუსებს სდევნიდნენ. მოწინავე რაზმებმა დაიჭირეს დელბონსკი შუადღის 3 საათზე. იაპონიის კავალერია რომ რიკოვისკენ წინ მიიწევდა, ერთი რაზმი ნემიხისა და ვისოკაიას დაეცა, რუსები განდევნა და ვედერნიკოვი და ახლო-მახლო პოზიციები დაიჭირა.

მოსკოვი, 17 ივლისი. პეტერბურგისაკენ გაემგზავრნენ ცუსიმას ბრძოლაში მონაწილეობის მიმღებნი 49 მეზღვაური, 4 სანიტარი და 15 ფერშალი, რომლებიც იბრძოდნენ ,,ურალ''-სა, „სინიავინსა" და „უშაკოვ"-ზე.

ხარბინი, 16 ივლისი. ჩინეთის იმპერატორის დაბადების დღის გამო, ჩინელებს სახლები და მაღაზიები ბაირაღებით იყო მორთული. სახალხო დღესასწაულს წვიმამ ძალიან ხელი შეუშალა.

ბერლინი, 17 ივლისი. წარჩინებულმა ჩინურმა დიპლომატმა „ლოკალ-ანცეიგერი"-ს თანამშრომელს შეატყობინა, რომ ჩინეთის ბოგდიხანმა და მისმა მეუღლემ ვიცე-კოროლს და გუბერნატორს წინადადება მისცეს, თავიანთი აზრი გამოსთქვან იმ მდგომარეობაზე, რომელიც ჩინეთმა მომავალ მოლაპარაკების დროს მანჯურიის შესახებ უნდა დაიჭიროსო. დაწერილებითი ბრძანება კი ჩინეთის ყველა ელჩებს გაეგზავნა. ჩინეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ იაპონია, დაპირებისამებრ, მანჯურიას იმას დაუბრუნებს

ტოკიო, 16 ივლისი. ამერიკის სამხედრო მინისტრი ტაფტი და ალისა რუზველტი საღამოს კიოტოსაკენ წავიდნენ. სადგურზე მრავალი სახელმწიფოს უმაღლესი მოხელე იყო მათ გასაცილებლად. სტუმრები დიდის აღტაცებით გაისტუმრეს.

ტოკიო, 15 ივლისი. ვლადივოსტოკს იაპონელების ძლიერი ესკადრა სდარაჯობს. ბევრი გემია გაგზავნილი სახალინის, ციმბირის და კორეის ნაპირების სადარაჯოდაც. ხაილუნჩენში 30,000 რუსია. რუსების უმთავრესი პოზიცია აქედან ტორიტისაკენ მიდის. სანჩენცოუს ჩრდილოეთით 2,000 რუსია და 15 ზარბაზანი, ტაიპენჯანსანის მთის ძირში კიდევ 1,000 რუსია. რუსებს სანოვაგე აკლიათ.

პეტერბურგი. ციმბირის მესამე კორპუსის უფროსი გენერალ-ადიუტანტი სტესსელი სამსახურიდან გადაყენებულ იქმნა გენერალ-ადიუტანტის ხარისხის შერჩენით.

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. გაზეთებმა უკომენტარიოდ ჩაატარეს კომურას მდივნის სატოს ორგვარი განცხადება დროებით ზავის შესახებ. სატომ ჟურნალისტებს ჯერ განუცხადა, რომ დროებითი ზავის ჩამოგდება რუსეთის სურვილზეა დამოკიდებულიო, მერე კი სთქვა, დროებითი ზავი მოლაპარაკებას უფრო გააგრძელებსო. დღეს კი სატომ განაცხადა: არავისთვის არაფერი არ მითქვამს ზავის პირობებზე და არც ვიცი მოლაპარაკებას იაპონია სარჩულად რა პირობებს დაუდებსო

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსი ტყვეები იაპონიაში. პეტერბურგს დაბრუნებულა ერთი მღვდელი, რომელიც „ადმირალ უშაკოვ"-ზე იყო. ეს მღვდელი სხვასთან ერთად ცუსიმას ბრძოლის შემდეგ იაპონელებს ტყვედ წაუყვანიათ, მაგრამ მერე გამოუშვიათ. ტყვეობიდამ დაბრუნებულ მღვდელს უამბნია: სწორე გითხრათ, იაპონელები ისე მოგვექცნენ რომ გაკვირვებისაგან პირღია დავრჩით. როცა იაპონიის ნაპირისკენ მივყავდით, ჩვენმა მატროსებმა სურსათის საწყობი გასტეხეს, ღვინოები დაიტაცეს და დაითვრნენ. მე სიტყვით მივმართე მატროსებს და ვარიგებდი, ასეთ დროს დათრობა არ ვარგა მეთქი. სხვათა შორის, ყურს მიგდებდა იაპონიის აფიცერი, რომელმაც რუსული არ იცოდა. აფიცერს ეგონა, ვითომ მე მატროსებს ვაჯანყებდი და უფროსს შეატყობინა. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ გემზე ამოვიდა იაპონიის გემის უფროსი, მაგრამ ხმაც არ გამცა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და წავიდა. ნაპირზე რომ გადაველით, ოც კაცს თითო იაპონელი გაგვაყოლეს, ხალხი თვალს გვარიდებდა, რადგან ჩვენის ისედაც დაკოდილი გულის წყენა არ უნდოდათ. იაპონელები საკვირველის სიფრთხილით ეკიდებიან ტყვე რუსების თავმოყვარეობას. აი მაგალითიც: ცუსიმას ბრძოლის მეოთხე დღეს იაპონელებმა გამარჯვება იდღესასწაულეს. რამდენიმე ათასი კაცი სიმღერით, ბაირაღებითა და „ბანზაის" ყვირილით დადიოდა. ერთ ხანად ჩვენსკენ—ტყვე რუსებისკენ წამოვიდა ხუთი ათასი კაცი სიმღერით, მაგრამ დაგვინახეს თუ არა, მაშინვე გაჩუმდნენ, გვერდი აგვიქციეს და როცა გაგვშორდნენ, ისევ გააბეს თავიანთ გამარჯვების სიმღერა. ერთი რამე გამიკვირდა იაპონიაში,—უთქვამს მღვდელს. იაპონიის აფიცრები და სალდათები ნამდვილი მეგობრები არიან. თავისუფალ დროს იაპონელი სალდათი აფიცერთან მივა ხოლმე, პაპიროზის მოსაკიდებლად ცეცხლს მიასხოვს, გამოელაპარაკება და მერე სასეირნოდაც გაჰყვება. მაგრამ ამავე დროს ეს სალდათები უერთგულესი მეგობრები არიან აფიცრებისა, ჩვენში კი სალდათი აფიცრისგან ლანძღვა-გინებისა და სილების მეტს ვერას გაიგონებს. აი მაგალითიც: ჩვენი ესკადრა ექვსი თვე იყო გზაში და ამ ხნის განმავლობაში ადმირალ როჟესტვენსკი ერთხელაც არ გადასულა სხვა გემზე, ერთხელაც არავის დანახვებია, ასე რომ ჩვენს მატროსებს თავის ადმირალი არც კი ენახათ და არც იცნობენ. ადმირალი ტოგო კი, როგორც მითხრეს, განუწყვეტლივ დადის თავის მატროსებთან, არიგებს, ებაასება, ეკითხება და თუ გუნებაზეა, ან წინა დღეებში გაიმარჯვა სადმე—ეხუმრება კიდევაც (ნ. დ.).

„იზუმრუდ"-ის მეზღვაურები. ცუსიმას ბრძოლის შემდეგ კრეისერი „იზუმრუდი" ვლადივოსტოკისკენ წამოვიდა, მაგრამ რადგან იაპონელებმა უყელეს და ნავთ-სადგურში არ შეუშვეს, ზევით წავიდა და ვლადიმირის ნავთ-სადგურში გაირიყა. ეს ამბავი მოხდა 17 მისს, მეზღვაურები ფეხით წავიდნენ ვლადივოსტოკში, 400 ვერსი გაიარეს და მან მხოლოდ 12 ივლისს, ე. ი. თითქმის ორი თვის შემდეგ მივიდნენ (რ. ს.).

* * *

ცნობისმოყვარე გახლავართ...

ქურდი. მე ასე მგონია და, უეჭველია, თქვენც დამეთანხმებით, რომ ბევრად უმჯობესი იქნება, თუ სხვა, უფრო მოხერხებულ შემთხვევისათვის გადავდებთ ჩვენს გაცნობას. მე მჯერა, რომ ასეთი შემთხვევა ჩვენ მალე მოგვეცემა და მაშინ ჩვენ უფრო... ახლო გამოვეცნაურებით ერთმანეთს და, მერწმუნეთ, მაშინ თქვენი გაცნობა ჩემთვის მეტად სასიამოვნო იქნება...

გაქურდ. როგორც გნებავთ!..

ქურდი. (ღიმილით) გულახდილად მოგახსენებთ, რომ დღეს მე სრულებით არა მქონდა აზრად...

გაქურდ. რა თქმა უნდა...

ქურდი. თუ თქვენი ნებაც იქნება, მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ ჩემი ვინაობა ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ დარჩება...

გაქურდ. დიაღაც, მესმის თქვენი სურვილი...

ქურდი. ვაჟკაცთა შორის ასეთი საქმე ადვილად მოსახერხებელია...

გაქურდ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მეც, ჩემის მხრივ...

ქურდი. ჰო, ბატონო ჩემო, ეჭვიც არა მაქვს, რომ...

გაქურდ. ეგ ყველა კარგი, მაგრამ მე მაინც ჯერაც არ მესმის თქვენი... ჩემი ყოფნა თქვენს სადგომში ასეთ უდროვო დროს, განა? (უჩვენებს გაღებულ უჯრებზე) და, ზედმეტი, ასეთი აბუჯულ-დახეულობა?!

გაქურდ. მართალსა ბრძანებთ! და მე დიდად დავალებული და მადლობელიც ვიქნები, რომ გამაგებინებდეთ, თუ, რასაკვირველია, ჩემი კითხვა არ გეწყინებათ.

ქურდი. ბატონო ჩემო, აქ წყენას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, პირიქით, თქვენი ცნობისმოყვარეობა ყოვლად სამართლიანია და მეც მზად ვარ ყოველ მხრივ დავაკმაყოფილო თქვენი... თქვენი გულისთქმა. თქვენ მეტად თავაზიანი და მომხიბლველი ბრძანდებით და მიტომ...

გაქურდ. დიდად გმადლობთ.

ქურდი. მეტად სიმპატიური და მიმზიდველი ბრძანდებით და არც საკვირველია: თქვენ ისეთი გემოვნება გქონიათ, რომ...

გაქურდ. სწორედ ღირსი არა ვარ ეგოდენ ქებისა...

ქურდი. არა, მე თქვენ სრულს ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. ჩვენს დროში, როცა ყველა უვიცი და ვიგინდარა თავს დიდ ვინმედ სახავს, თქვენც დამეთანხმებით, რომ გემოვნება უნდა იყოს ნამდვილ კეთილშობილ კაცის დამახასიათებელი...

გაქურდ. მე ცხადად ვხედავ, რომ ჩვენ ორთავეს ერთი და იგივე გვაინტერესებს ხელოვნებისა თუ გემოვნების მხრივ, და ჩემთვის ეგ დიდად სასიამოვნოა!

ქურდი. რაც მართალია, მართალია! ინტერესების ერთგვარობას თანა სდევს ზნეობრივი კავშირი და, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, სოლიდარობა ხალხთა შორის. მაგრამ, უკაცრავად. რადგან ჩვენ ორთავეს ნათლად გვეტყობა წადილი ერთმანეთთან მეგობრულ შებაასებისა, ამიტომ, იქნება, თქვენ უმჯობესად დაინახოთ, ტანთ რამე ჩაიცვათ, თორემ თქვენი ასე ყოფნა, ცოტა არ იყოს, უხერხულიც არის და, შეიძლება, გაცივდეთ კიდეც...

გაქურდ. ოჰ, უკაცრაოდ! თქვენ მართალი ხართ! უკაცრაოდ, ერთი წუთი მადროვეთ (მიდის და ისევ მობრუნდება). იცით, არც მე მინდა ჩამოგრჩეთ გულწრფელობასა და თავაზიანობაში...

ქურდი. ოჰ, ბატონი ხართ, მიბრძანეთ.

გაქურდ. ჩემდა სამწუხაროდ, მე იძულებული ვარ თქვენი აქ ყოფნა პოლიციას შევატყობინო, რა თქმა უნდა, მხოლოდ პრინციპის გულისათვის.

ქურდი (თავს უკრავს). ბატონი ხართ... ბატონი ბრძანდებით.

გაქურდ. მერწმუნეთ, მხოლოდ პრინციპის გულისათვის.—მანამ კი ნახვამდის (შედის ისევ საწოლ ოთახში).

ქურდი. რა ჰქნას კარგმა მონარდემა, თუ დროს შაში არ მოუვა. ეჰ, დღეს საქმე ცუდად მიდის!

მსახური. მე მაშინვე მოგახსენეთ, დღეს ხიფათში გავებმით-მეთქი! (ვედრებით) წავიდეთ, თქვენის ღვთისგულისათვის, წავიდეთ!

ქურდი. ხომ არ გაგიჟდი?

მსახური. იქნება თვითონვე გაგვიშვას! რაღაც უცნაური ადამიანია. მე ასე მგონია, რომ იგი ცუდი კაცი არ უნდა იყოს. თუ ღმერთი გწამთ, აქაურობას მალე განვშორდეთ!

ქურდი. ნუ წუწუნებ და ნუ იცრემლები! ეგ ნივთები ისევ წინანდელ ადგილს დააწყე და აქაურობა ისევ მიალაგ მოალაგე. ეჰ, ისევ ხელახლად უნდა დავიწყოთ...

მსახური (უკმაყოფილოდ). როგორ? მომგებიანი ბილეთებიც ჩავალაგო?

ქურდი. ყველაფერი. რას იზამ, კაცმა ხანდისხან მსხვერპლის მოტანაც უნდა შესძლოს!

მსახური. როგორ? ნაღდი ფულიც—ჩემი ფულიც, ეხლა რომ მაჩუქეთ, ისიც უნდა ჩავალაგო?

ქურდი. დიაღ, ის ფულიც!

მსახური (ისევ ამოიღებს ყველაფერს გვადრუციდან). ეჰ, დასწყევლოს ეშმაკმა!.. მშვიდობით, ჩემო პატარა სახლკარო სოფლად, მშვიდობით ხბორებო... მეწველო ფურებო! (ბრაზით) ღორებო!..

ქურდი. ჩუმად!

მსახური. რომ დავფიქრდები ხოლმე... თქვენ თქვენს ნიჭსა და ჭკუასთან შეგეძლოთ დიდებულად გეცხოვროთ, რომელსამე მაღალ თანამდებობაზე ყოფილიყავით—ჩინი და ორდენები მიგეღოთ და თან ქვეყანაც გეყვლიფათ, როგორც მაგას ჩადიან თქვენი მრავალი ნაცნობ ნათასავები... ცხოვრობენ ისინი თავიანთთვის უზრუნველად და უდარდელად და სახელსა და პატივში არიან!.. ეჰ, მეტად წინდაუხედავი კაცი ბრძანდებით, მე და ჩემმა ღმერთმა!

(გაქურდული შემოვა ჩაცმული და გამოწყობილი)

გაქურდ. (შეამჩნევს რა, რომ ქურდი და მისი მსახური ისევ წინანდელ ადგილას ალაგებენ ნივთებს) ეჰ, ნეტავ თავს ტყუილად რად იწუხებთ... რად ირჯებით, ბატონებო! ჩემი მსახურნი თავის დროზე ყველაფერს მიალაგებენ, ისინი უკეთ მოუვლიან, რადგან ამ საქმეს შეჩვეულნი არიან?

ქურდი. არც ჩვენა ვართ უჩვევნი...

გაქურდ. გეთაყვა, ნუ შესწუხდებით (მიაწვდის ქურდს სკამს და თითონაც მეორეზე ჩამოჯდება მსახური კი კუთხეში რჩება). აბა, გვიბრძანეთ, მე ყურს გიგდებთ!

გაქურდ. სანამ საუბარს დავიწყებდე, შემეძლო მეამბნა თქვენთვის ყოველივე ჩემი თავ-გადასავალი, როგორც რომანებში იციან ხოლმე, მაგრამ, არა მგონია, ეს თქვენთვის მაინცდამაინც საინტერესო იყოს და მიტომ ვამჯობინებ, რომ პირდაპირ საქმეს შევუდგე!

გაქურდ. და მეც სწორედ ამით დიდად დამავალებთ.

ქურდი. მე პირდაპირ საქმეს შევუდგები (ცოტა სიჩუმე). მე ქურდი ვარ! (გაქურდული თავის ქნევით ეთანხმება). დიაღ, ქურდი პროფესიით—თუ ასე შეიძლება ვსთქვათ, ქურდი თანამდებობით. ქურდი და ჯიბგირი—იქნება ეგ სიტყვა ცოტათი ეხამუშებოდეს ზოგიერთების ყურთასმენას, მაგრამ, უეჭველია, თქვენ უკვე მიხვდებოდით!..

გაქურდ. ოჰ, რა თქმა უნდა, მე მაშინათვე...

ქურდი. სწორედ მოსაწონია თქვენი დაკვირვების ეგრეთი ნიჭი. მაშასადამე, თქვენს წინაშე სდგას ქურდი. მე ბევრისა და კარგა ხნის მოფიქრების შემდეგ, დავადეგ ამ გზას და, სანამ ამ ხელობას ავირჩევდი, ყოველისფერი ნათლად გავითვალისწინე და დავრწმუნდი, რომ ჩვენს არეულ-დარეულ და უფერულ ცხოვრებაში, ეგ ჩემი ხელობა ერთად-ერთი პატიოსანი, სწორი და კეთილ-სინიდისიერი საქმეა.

გაქურდ. რასაც თქვენ ბრძანებთ, იქნება ენამახვილობას არ იყოს მოკლებული, მაგრამ, რაც შეეხება სიმართლეს...

ქურდი. თქვენ ახლა დაინახავთ და დარწმუნდებით კიდეც, რომ ქურდობა... მე ქურდობას ვახსენებ, როგორც, მაგალითად, ვაჭრობას, მართლ-მსაჯულებას, მწერლობას, მრეწველობას, ექიმობას, მხატვრობას, ვექილობას და სხვა ამგვარ ხელობას! დიაღ, ქურდობა ცუდ ხელობად და საქმედ იმიტომ ითვლებოდა, რომ დღემდე, ვინც ამ ხელობას ადგა, მომეტებულ შემთხვევაში თავზე ხელაღებული, მოუხერხებელი და ყოვლად უმეცარი ხალხი იყო, ხალხი მოკლებული ყოველსავე განათლებას და განვითარებას, რაიცა საზოგადოებაში მათდამი სამართლიან ზიზღს იწვევდა.

გაქურდ. მაგაში მეც სავსებით გეთანხმებით.

ქურდი. მე კი ამ ხელობას, ამ ერთ ერთს დარგს მოღვაწეობისას, მსურს დავუბრუნო ის ელფერი და ბრწყინვალება, რომლის ღირსიც არის და თავის მოწონების უფლებაცა აქვს!.. მე მინდა ეგ ხელობა გავაპატიოსნო, გავაკეთილშობილო, რათა ყველას პატივი და სიყვარული დაიმსახუროს და თან მიმდევრებიც ამრავლოს!..

გაქურდ. დიაღ, მაგრამ რად გავიწყდებათ, რომ მრავალ უსიამოვნებას შეემთხვევით!

ქურდ. ადვილად შესაძლებელია, მაგრამ, რას იზამთ, უსიამოვნება ვერც ერთს მოღვაწეს ვერ ასცდება—ეგ ჩვეულებრივი მოვლენაა, და ჩვენც, მეტი რა გზაა, უნდა გავუძლოთ! იცით რა, მოდით, ჩვენს ცხოვრებას მარტივის, არა-ჩვეულებრივის თვალით შევხედოთ და მაშინ დამეთანხმებით, რომ ქურდობა ერთად-ერთი შესაძლო და ხელმისაწვდომი საქმეა პატიოსანის კაცისათვის...

გაქურდ. (თავის გაქნევით ანიშნებს, რომ არ ეთანხმება).

ქურდი. ჯერ მოგიყვებით ჩემთა აზრთა მიმდინარეობას! ჯერ ჩემი გაიგეთ: კაცი როცა რომელსამე ხელობას ირჩევს, იმ აზრით ირჩევს, რომ თავი ირჩინოს, ცხოვრების შეძლება მოიპოვოს და, თუ გნებავთ, ქურდობა შეიძლოს, რადგან თვით ცხოვრება აიძულებს კაცს იქურდოს, ესე იგი, ასე თუ ისე, ვისმე რაიმე წაჰგლიჯოს, წაართვას, გამოსტყუოს... ხოლო კაცი კაცს იმისთვის ართმევს რასმე და ჰგლეჯს, რომ ცხოვრება შესძლოს და ეს ცხოვრება გაიტკბილოს!.. თქვენ ჭკვიანი კაცი ბრძანდებით და კარგად გესმით, რომ ჩვენ დროინდელის პატიოსნებისა და სათნოების სარჩული არის—კაცმა უკედ იცხოვროს და, რაც შეიძლება, მეტად დასტკბეს ცხოვრებით... მე მგონია, რომ ამის დასამტკიცებელ მაგალითების მოყვანა თქვენთვის სულაც არ არის საჭირო.

გაქურდ მე ასე მგონია, რომ თქვენ მეტად განსაკუთრებულ შემთხვევებთან გქონიათ საქმე და ამიტომ...

ქურდი. თქვენ კი არ გქონიათ საქმე განსაკუთრებულ შემთხვევებთან?

გაქურდ. მეე?

ქურდი. სწორედ თქვენ! თქვენ ყველგან ცნობილი ხართ, როგორც მეტად პატიოსანი და უმწიკვლო კაცი... პარიზში ყველანი პატივსა გცემენ, მაგრამ განა თქვენ არ იყავით, რომ პირველი ნაბიჯი წარმატებისკენ დალალობით დაიწყეთ? მერე თქვენ ნელნელა გამდიდრდით და ბოლოს ქველმოქმედებასაც მიჰყევით ხელი. ახლა შეგიძლიანთ თქვენ გულწრფელად მოიგონოთ, თუ რამდენის უზნეობო ძალმომრეობისა და სიყალბის ქარ-ცეცხლში გაუვლია თქვენს ახლანდელს შეძლებას?!..

გაქურდ. (დუმილის შემდეგ მოწყენილის კილოთი) დიაღ... თქვენ მართალი ხართ...

ქურდი. რა თქმა უნდა, მართალი ვარ, მაგრამ ჩვენ იმაზე ვილაპარაკოთ, რაც მე შემეხება. მე მოკლედ მოვჭრი. ჩემი პირველი ნაბიჯი დავიწყე დიდ სავაჭრო საქმეში, მაგრამ უმართებულო აღებ-მიცემობა, აუცილებელი სიცრუე, მოტყუება და მრავალი უსინიდისობა, რომელსაც ადამიანი ვაჭრობაში ვერას გზით ვერ აცდება, ძალზე მომბეზრდა და მუდმივ აშფოთებდა ჩემს ბუნებრივ სიფაქიზეს, ჩემს პატიოსნებას, რის გამო ხელობა გამოვიცვალე და ფინანსიურ დაწესებულებაში გადაველ...

გაქურდ. მითომ თქვენც უკეთესი რამე გიპოვნიათ: ეგ იმას ნიშნავს, რომ კაცი ცეცხლის შიშით წყალში გადავარდეს!..

ქურდი. სრულს ჭეშმარიტებას ბრძანებთ! მალე ფინანსიურ მოღვაწეობასაც დავანებე თავი, რადგან ვერ შევძელ გამუდმებით ერთსა და იმავე ბოროტების მოციქულობა: ყალბ აქციების ყიდვა, არ-არსებულ მადნების გასაღება და ათასი სხვა ამისთანები, რომელთა უპირველესი საგანი ის იყო, რომ სხვის ჯიბეში ხელები გვეფათურებინა და მრავალ გულუბრყვილოთა კეთილდღეობა ფეხით გვეთელნა!.. ბუნებით მე საშინელი მტერი ვარ ყოველგვარის სიცრუისა და იმიტომ ვერ გავუძელ მუდმივ თვალთმაქცობას, მოტყუილებას, და თავი შევაფარე ახალს ხელობას—ჟურნალისტობა გადავსწყვიტე!

გაქურდ. ჩინებული აზრი მოგსვლიათ!

ქურდი. და წარმოიდგინეთ, ოთხს კვირაში ღრმად დავრწმუნდი, რომ ჟურნალისტობა ყოვლად შეუძლებელია, თუ კი გამოცინცვლასა და თაღლითობას არ იკისრებ, თუ გონებრივსა და ზნეობრივს უკუჯექობას არ დაიწყებ... ამას გარდა, ჩემს აღზრდასა და განვითარებას ძალზე ეთაკილებოდა უვიცის, ტლანქისა და გაურანდავის გამომცემლების მონობა, რომელთაც ხშირად მართებული წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ... ამიტომ მე ვარჩიე პოლიტიკური მოღვაწეობა...

გაქურდ. (იცინის) ხი! ხი! ხი!

ქურდი. მართალი ბრძანდებით! სჯობია თავი დავანებოთ ამ მოღვაწეობის ამბავსა! (გაქურდული ნელნელა სიცილს შესწყვეტს) მაშინ მე გადავსწყვიტე სულ ერთიანად, თავით ფეხამდე ჩავძირულიყავ ცხოვრების მორევში... მიტომ ავარჩიე ჩემს ხელობად ცხოვრების მოტრფიალება, განცხრომის მოციქულობა...

გაქურდ. ახლანდელ დროში ამისთანა ხელო-

ახალი ამბავი

სად. განჯა. 16 ამ თვეს, საღამოს ათ საათზე, სამის ტყვიით **სასიკვდილოდ დასჭრეს ჟანდარმთა ვახმისტრი.** მკვლელი ვერ აღმოაჩინეს. შეცდომით დააპატიმრეს ერთი მუშა—თუთბერიძე, მაგრამ, როგორც უდანაშაულო, მალე გაანთავისუფლეს.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ **აცნობა გუბერნატორს**, რომ მას დროებით უფლება მიეცა ნება დართოს ხოლმე შემდეგ საზოგადოებათა დაარსებისა: საზოგადო საკრებულოსი, სათეატროსი, მუსიკალურისა, დრამატიულისა, ფოტოგრაფიულისა, სიფხიზლისა, გიმნასტიურისა, ანთროპოლოგიურისა, სამკურნალოსი, პირუტყვთა მფარველ და საბეითალო საზოგადოებებისა. აგრეთვე ბიბლიოთეკების დაარსებისა 1905 წლის 26 აპრილს გამოცემულ წესდების მიხედვით. ყველა ამ საზოგადოებების დაარსების დროს, გუბერნატორმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ დამაარსებელთა მეტი ნაწილი ებრაელები არ იყვნენ და ამა თუ იმ საზოგადოებას, გარდა საზოგადო სარგებლობისა, სხვა არავითარი მიზანი არ უნდა ჰქონდეს მიცემული.

✦ ხმა დადის, რომ ქართლ-კახეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურეს ე. ი. ოდოევს **ახალს თანამდებობას აძლევენ** რუსეთში.

✦ გუშინ, 18 ივლისს, დაკრძალეს გვამი მიხეილის **საავადმყოფოში გარდაცვლილ ლენტო ხერხეულიძისა.** სამკურნალოს სამლოცველოს პანაშვიდის დროს შიგნიდან და გარედან იცავდნენ დარაჯები. განსვენებული გორის მაზრის სოფ. ერგნეთელი იყო. დაიბადა 1879 წ. სწავლა ჯერ ტფილისის პირველ გიმნაზიაში დაიწყო, მერე კი განჯის გიმნაზიაში დაამთავრა 1899 წ. ის შევიდა კიევის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. 1900 წელს, სტუდენტთა არეულობის გამო, იგი გაიგზავნა უბრალო ჯარის კაცად. 1902 წ., სალდათობიდან განთავისუფლების შემდეგ, იგი შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში მეორე კურსზე. აქედან 1904 წ. იგი გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. აქ არეულობაში მონაწილეობის მიღებისთვის დაატუსაღეს ოთხის თვით. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ იგი სამშობლოში ცხოვრობდა.

✦ როგორც ახალქალაქიდან გვატყობინებენ, 11—12 ივლისს, ღამის 12 საათზე, უცნობი პირები შეპარულან საერობო დარაჯთა ბინაში, უმცროსი საერობო დარაჯი **პორხამენკო მოუკლავთ,** წაურთმევიათ ბერდანის თოფი და მიმალულან.

✦ რადგან მომავალ წლიდან შემოსავლის დაგვარი გადასახადი (ПОДОХОДНЫЙ НАЛОГЪ) ძალაში შედის, ფინანსთა სამინისტრომ სახაზინო პალატას მოსთხოვა ცნობები, რა **შემოსავალს იღებენ** კერძო პროფესიის პირნი: ვექილები, ექიმები, ლიტერატორები და სხვ.

✦ კავკასიის ნამესტნიკს **ეცნობა მინისტრთა კომიტეტის დადგენილებანი** შესახებ იმ ზომებისა, რომელიც უნდა იქმნეს მიღებული იმპერიაში მევინეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნამესტნიკმა თავის მხრივ მოსთხოვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამგეობას, ამ საგანზე თავისი აზრი გამოსთქვას.

✦ **კავკასიის ნამესტნიკის კანცელარია აცხადებს,** რომ კავკავისა, ვორონეჟისა, ოდესისა და ტფილისის კადეტთა კორპუსებში მისაღები ეგზამენები სახელმწიფოდ მიღებულ ბავშვებისა დაიწყება: ოდესასა და ტფილისში—12 მარიამობისთვეში; კავკავისაში—18 და 19-ს; ვორონეჟში—11 მარიამობისთვეს.

✦ როგორც ამბობენ, **სოხუმის პოლიცმეისტერი მ. კ. რიხტერი სამსახურს თავს ანებებს.**

✦ ტფილისის **პოლიცმეისტრად დაინიშნა** ტფ. გუბ. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე როტმისტრი დ. ა. ცისსი, ხოლო პოლიცმეისტერი კოვალიოვი დაინიშნა წოდებათა და მემამულეთა უფლების გამომრკვეველ სამხედრო-საერო კომისიის გამგებლის თანამდებობის აღმასრულებლად.

✦ **გენერალი ი. გ. ამილახვარი,** კავკასიის ნამესტნიკის-მიერ გაგზავნილი გორისა და დუშეთის მაზრაში გლეხების დასამშვიდებლად, **კვირას ტფილისში დაბრუნდა.**

✦ კვირას, 17 ივლისს, კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა **დუშეთის მაზრის გლეხების დეპუტაცია,** რიცხვით 30 კაცი.

✦ როგორც ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ, სხვადასხვა ქარხნებში **გაფიცული მუშები მექარხნეებს დაუკმაყოფილებიათ და მუშაობა განახლებულა.**

✦ იმავე გაზეთების სიტყვით, კავკავის რკინის გზის მუშათა გაფიცვა წინ-წინ მიიწევს. გაფიცულან გროზნოშიაც და დონის როსტოვშიაც. სადგურ დონის როსტოვსა და ტიხორეცკაიაში მუშებს ცეცხლი წაუკიდებიათ კავკავის რკინის გზის სახელოსნოებისთვის, რომელიც ორი დღე იწოდა.

✦ გაზეთი „ასხაბადი“ იუწყება, რომ 22 ივნისს მე-5 **სამთო ბატარეის საწყობიდან ვიღაცებს მოუპარავთ 35 თოფი და 43 რევოლვერი.**

✦ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, კავკასიის ყველა სახაზინო პალატებს **მოეთხოვა ცნობები** კერძო მესაკუთრეთა მეორე და მეხუთე ხარისხის სამრეწველოთა შესახებ; ყველა ეს ცნობები საერობო არჩევნებისათვის სჭირდებათ.

✦ ამ თვის 6, ქალაქ ერევანში მეეტლეები **გაიფიცნენ.** მეეტლეები ნიხრის მომატებასა და ქალაქის ხარჯებისაგან განთავისუფლებას თხოულობდნენ. ქალაქის მმართველობამ მეეტლეებს თხოვნა აუსრულა.

✦ **ნახიჩევანიდან გვატყობინებენ:** 15 ივლისს გენერალი ალიხანოვი დიდის ამბით გააცილეს მუსულმანებმა. საგანგებოდ მის გასაცილებლად ხალხი მახლობელ სოფლებიდანაც ჩამოვიდა. გაცილებაში სომხობას მონაწილეობა არ მიუღია.

✦ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი საყოველთაოდ აცხადებს, რომ რადგანაც 10 ივლისისთვის დანიშნული გორის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება არ შესდგა, ხელმეორედ კრება დანიშნულია 24 ივლისისთვის.

✦ თიანეთის მაზრის **სოფ. მაჭაროში ნ. რაზიკაშვილს დაუარსებია დეპო,** რომელსაც მიზნად ექმნება მთიულებისგან შეისყიდოს მატყლი და შემდეგ რუსეთისა და საზღვარ გარეთის ქარხნებში გაჰგზავნოს.

✦ ეს რამოდენიმე დღეა, **ქალაქი ძლიერ შეწუხებულია უწყლობით.** კრანებთან პატრულები დგანან და „პორციობით“ იძლევიან წყალს. მაგალითად, ამაღლების ქუჩაზე კრანთან, ორშაბათს, 18 ივლისს, დედაკაცები ერთმანეთს თავპირს ამტვრევდნენ. კვირას, 17 ივლისს, ანჩისხატის ეკლესიაში მიცვალებული მიასვენეს. ძლიერ ცხელოდა და ხალხს წყალი მოსწყურდა. ეკლესიის ეზოში თუმცა ორი კრანი ყოფილა, მაგრამ მწყურვალე ხალხს ერთი ცვარიც არ მიაკარეს. გაბრაზებული ხალხი მიიჭრა დიაკონთან, რომელსაც კრანის გასაღები ჰქონია დამალული, და გასაღები გამოჰგლიჯა.

✦ **ტფილისში დაბრუნდა** ქალაქის მოურავი ქ. ა. ვერმიშევი და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✦ ამ დღეებში ტფილისიდან ერევანს მიემგზავრება **ახლად დანიშნული** ვიცე-გუბერნატორი, ტფილისის მაზრის ყოფილი უფროსი ლ. გ. ჯანდიერი.

✦ კვირას, 17 ივლისს, საღამოს 9 საათზე, ვერის ჩასახვევთან ელექტრონის ტრამვაის ვაგონს **ტორმოზი გაუწყდა** და დაღმართზე დაეშვა. ბელვიუს ბაღთან გადავარდა კონდუქტორი და მთელი დღის ნავაჭრი ფული დაებნა. კურცხალიას შენის საწყობთან გადავარდა ორი მგზავრი, ოქროს საათები დაემტვრათ და თვითონაც ძლიერ დაშავდნენ. ვაგონი მხოლოდ მიხეილის პროსპექტზე გააჩერეს.

✦ ტფილისის **სომხურ დრამატიულ მმართველობას დაუდგენია,** წარმოდგენები დაიწყოს ოქტომბერში, არტისტულ საზოგადოების თეატრში, კვირაში ერთხელ. კვირაში ერთი იაფ-ფასიანი წარმოდგენა გაიმართება ავლაბრის არაქსიანის თეატრში და ზუბალაშვილის ახლად აგებულ სახალხო სახლში. აზრადა აქვთ, სთხოვონ რუსულ დასის ანტეპრენიორს, რომ ორშაბათის გარდა, კვირაში ერთხელ კიდევ დაუთმოს თეატრი სომხურ წარმოდგენისთვის.

✦ ტფილისის ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში მისაღები **ეგზამენები დაიწყება 23 მარიამობისთვეს.**

✦ მელიქ-კარაკოზოვმა შუამდგომლობა აღძრა საცენზურო კომიტეტის წინაშე, რომ მისს გაზეთს „ბანბერ-კავკასი“ (კავკასიის მოამბე) **სახელი შეუცვალონ** „არშალუისზე“ (განთიადი).

✦ როგორც სადგურ შაჰ-ყალიდან (ყარსის ლიანდაგი) გვატყობინებენ, 18 ივლისს, მე-183 ვერსზე საქონლის მატარებელი № 133 გზაზე გაწყვეტილა და **ბევრი კონდუქტორი უმსხვერპლია.** მომკვდარან კონდუქტორები: ტუროვი, დუნდუა, შერმანაძე და გელვერი, მძიმედ დაშავებულა კონდუქტორი ჩიტაშვილი.

✦ ქ. **ფოთი** ოთხშაბათს, 13 ივლისს, აქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა:

საღამოს ასე 8½ საათზე სამი ამხანაგი: ივ. ალხაზოვი, ივ. ძაძე და ალტ. მაშკევიჩი ველოსიპედებით ერთად დასეირნობდნენ. როდესაც ისინი, გურიის ქუჩაზე, კუპრაძის აბანოს დაუახლოვდნენ, მოულოდნელად ხუთი შეიარაღებული უცნობი თავს დაესხათ: ალხაზოვი და ძაძე გაიქცნენ, ხოლო მაშკევიჩი, კარგა ხნის შებრძოლების შემდეგ, ბებუთის დანით იქვე მოჰკლეს. დამნაშავენი მიიმალნენ, მხოლოდ ერთს მათგანს ქუდი დავარდა, რომელზედაც ორის ასოთი პატრონის სახელი და გვარი ეწერა. ერთმა პოლიციელმა ქუდი მაშინათვე იცნო და პატრონად ვიღაც მოსწავლედ ნამყოფი ოსტანოვიჩი დაასახელა. ოსტანოვიჩს ქუდი არ აღმოაჩნდა, რისთვისაც ის იმ წამსვე დაპატიმრებულ იქმნა. მკვლელობას, როგორც ამბობენ, რომანიული ხასიათი აქვს, მხოლოდ მაშკევიჩი შეცდომით უნდა იყოს მოკლული. დამნაშავენი ყველანი ახალგაზდა, თითქმის ბავშვები არიან.

✦ როგორც ჯავახეთიდან გვატყობინებენ, სოფ. საიხასთან უცნობი შეიარაღებული კაცები თავს დასხმიან ცხვრის ფარეხს და თოფის სროლა დაუწყიათ, რომლის დროსაც მოუკლავთ მწყემსი მელიტონ პოდოევი, წაუსხამთ 12 ცხენი და რამდენიმე სული ცხვარი. ეჭვი მიიტანეს ბანტიარ-მამედ-ოღლიზე.

✦ ქ. ახალქალაქთან საერობო დარაჯებს ქიტინევს და ხოგონაძეს, როცა ისინი გზად მიდიოდნენ, ვიღაც უცნობ პირებმა ტყიდან სროლა დაუწყეს. დარაჯებმა ჯერ თოფის სროლითვე გასცეს პასუხი და მერე დაედევნენ, მაგრამ ვერ მიაგნეს მათ კვალს.

✦ როგორც თიანეთიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში სოფელ ეკვიღელ და თანიანთკარელ (დუშეთის მაზრა) მეცხვარეებს, ასე 7—8 კაცს, ნაშუადღევის 3—4 საათზე, ცუბროკანის მთაზე 30 შეიარაღებული კაცი თავს დასხმიათ და თოფის სროლა დაუწყიათ. მეცხვარეებს, უგრძნიათ რა თავიანთ უმწეო მდგომარეობა, მიუტოვებიათ ცხვარი და აქეთ-იქით დაქსაქსულან. ამ ყაჩაღებს კი 900 სული ცხვარი არდოტის ხეობისკენ გაურეკიათ.

✦ 16 ივლისს, დილის 8 საათზე, პოლიციის მეოთხე ნაწილში გენერალ ტარასოვს მოჰპარეს 200 მანათი. გენერალმა ეჭვი მიიტანა თავის ლაქიებზე მუხამედ ენკალიჩევსა და კოლესნიკოვზე, რომლებიც დაპატიმრებულ იქმნენ.

✦ რიყის ქუჩაზე ფქვილით მოვაჭრე ისრაპილ ჰუსეინოვს 15 ივლისს მერვე საპოლიციო ნაწილში გამოუცხადებია, დახლი ვიღამაც გამიტეხა და 511 მანათი მომპარაო.

✦ სოფელ საბურთალოს მცხოვრებმა ვასილ თეოდორეს ძე ორლოვმა გამოაცხადა პოლიცმეისტერის სამმართველოში, როდესაც მისი 8 წლის ქალი მარიამი თავის აღმზრდელ ფრანგის ქალთან ერთად დიდუბეში მისეირნობდა, თანამგზავრს ჩამორჩა და სადღაც მიიმალაო.

✦ როგორც ბათომიდან გვატყობინებენ, იქაურ ციხეში დაპატიმრებულ ტუსაღებს ბალალ-აბდულ-ოღლის და ალექპერ-ჯალალ-ოღლის ჩხუბი მოსვლიათ ამავე საპყრობილეში დაპატიმრებულ გიორგი ლექავასთან და მოუკლავთ იგი.

კავკასიის ნამესტნიკის სასახლეში სხდომა კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის გამოსარკვევად

16 ივლისს, ნაშუადღევს 4 1/2 საათზე, კავკასიის ნამესტნიკის სასახლეში, ნამესტნიკის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის თავმჯდომარეობით, მოხდა სხდომა კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის გამოსარკვევად. სხდომას დაესწრნენ: კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეები: გენ.-ლეიტ. ი. დ. მალამა, ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი და გენ.-მაიორი ქ. ნ. შირინკინი, ტფ. სასამართლო პალატის თავმჯდომარე ვ. რ. ზავადსკი, ნ. ი. პრაბილი, ი. ვ. მიცკევიჩი, მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებული კავკასიაში ი. ს. მედვედევი, ნ. თ. ჯუნკოვსკი, ნ. დ. პეტერსონი, გენ.-მაიორი ფონ-პარკაუ, ტფ. გუბერნატორის თანაშ. აღმასრულებელი ვ. ვ. ადიშევსკი, შავი ზღვის პირა გუბერნიის მმართველი დ. ა. ბერეზნიკოვი, ნ. ნ. მაქსიმოვი, წარმომადგენელნი მართლმადიდებელ, სომხ-გრიგორიანთა, შიიტთა და სუნნიტთა სამღვდელოებათა (4 კაცი), კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი მ. რ. ზავადსკი, კავკ. საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. ჭიკაელი, სააქციზო მმართველობის უფროსი დ. დ. პერმკე, კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ შტაბის უფროსი გენ.-მაიორი გრიაზნოვი, კავკ. გზათა ოლქის უფროსი კ. ფ. რუგევიჩი, ა. ს. ბუნიაკინი, ს. ა. პეტროვი, ა. ბ. მიხაილოვი, გ. ი. ზელენინი, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშ. აღმასრ. თავადი ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი, თავ. ს. გ. წერეთელი, პ. ი. ზოლოტარევი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, ა. ი. გურსკი, თავ. დ. გ. ჯანდიერი, დ. მ. შულგინი, ვ. ა. სტაროსელსკი, ს. ნ. ტიმოფეევი, ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი ი. თ. იოსელიანი, ვ. ი. რცხილაძე და ა. ს. ფირალოვი, წარმომადგენელნი კავკ. იურიდიულ საზოგადოებისა, წარმომადგენელნი კავკ. საგეოგრაფიო საზოგადოებისა და ტეხნიკურ საზოგადოების კავკ. განყოფილებისა, ყოველ-დღიურ გაზეთების რედაქტორები—„კავკაზ“-ისა ა. თ. ბელინსკი, „ნოვ. ობოზრ.“-სა, კ. ი. ქალანთაროვი, „ტიფლ. ლისტოკ“-ისა ს. კ. მიხაილოვი, „ცნობის ფურცლის“ ა. გ. ჯაბადარი, „ივერიის“ ფ. გ. გოგიჩაიშვილი, „მშაკ“-ისა ა. ა. ქალანთარი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, თავ. გ. მ. თუმანოვი, თავ. ს. რ. ვახვახიშვილი, თავ. ვ. ს. მიქელაძე, ა. ზულგადაროვი, ა. პ. ბაბმეტიევი, ბ. ნ. ზახაროვი, ა. ი. სააკოვი, ნ. ნ. ტარატინოვი, ვ. ვ. სტრატონოვი.

სხდომის დაწყებამდე ექსარხოსის მოადგილემ ეპისკოპ. ექვთიმემ გადაიხადა პარაკლისი და უსურვა მრავალჟამიერ სიცოცხლე ერობის მოღვაწეთ. მანვე მიმართა კავკასიის ნამესტნიკს სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ერობისა, რომლის შემოღებას ჩვენში ეხლა აპირებს მთავრობა, და უსურვა ამ საქმის მოთავეთ მუშაობაში წარმატება და რეფორმის ნაყოფიერად დაგვირგვინება.

ბას უზნეობას ეძახიან და, ესეც არ იყოს, განცხრომისათვის საჭიროა შეძლება!

ქურდი. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ საქმე მარტო შეძლებაში როდია, კაცის გუნებაც ბევრს რასმე ნიშნავს. მე საკმაოდ ლამაზი ვარ, ნიჭი და უნარი მაქვს ყველას თავი მოვაწონო, ჭკუაცა მაქვს.

გაქურდ. ჭკუაცაო?! ჭკუა უფრო ხელს არ შეგიშლით...

ქურდ. არა, მე იმდენი ჭკუა მაქვს, რამდენიც საჭიროა სისულელის დასაფარავად!.. მე ძველ ჩვეულებათა მიმდევარი ვარ: დიდი და წარჩინებული ნათესაობა და ნაცნობობა მყავს... პატიოსნების კანონები ყველა ზედმიწევნით ვიცი... ხმალ-იარაღსაც საუცხოვოდ ვხმარობ, ასე რომ საუკეთესო კლუბებსა და წრეებში ვტრიალებ. ყველანი მთხოვენ, ყველგან მეპატიჟებიან. ერთსა და იმავე დროს მე ბირჟაზედაც ვთამაშობ. ჯირითი და დოღები უჩემოდ არ იმართება და საუკეთესო მსახიობ ქალთა საპირფარეშო ოთახები ჩემთვის მუდამ ღიაა! ზოგს საქმეს ვუკეთებ და წარმატების გზაზე ვაყენებ, ზოგისათვის შუამავალი და მაჭანკალი ვარ! ზოგნი ქაღალდში მოპიტყუილებია, ზოგნი კიდევ დამივალებია. ზოგჯერ საყვარლებისათვის სახლები შემიძენია, ზოგჯერ ახლად გახსნილის სავაჭროს ღვინოები გამივრცელებია ხალხში და ხან კი ზოგიერთ მექარხნეთა სხვადასხვა მანქანები გამისაღებია. ხშირად გამიზეიადებია ქება-დიდებით რომელიმე საკომისიონერო კანტორა, თუ ლამაზ ქალების გულუხვობა და მასპინძლობა!.. ამიმაღლებია მწერალნი და პოეტნი... ბურჟეს რომანები და ლავედონის პიესები ცამდის აპიფრენია, აღტაცებით მომიხსენებია ორლეანის ჰერცოგის მანიფესტები და სხვა, და სხვა. არა, ბატონო, მე ძლიერ მალე დავრწმუნდი, რომ ყოველივე ზემოხსენებული საქმე და ღვაწლი მეტად ძნელი იყო ჩემთვის და შეუფერებელიც.

გაქურდ. რა თქმა უნდა, ეგოდენ სხვადასხვა ხასიათის მოღვაწეობა ძნელიც არის და მაბეზარიც!..

ქურდი. ამრიგად მე გამოვცადე ყველა ხელობა, ყოველივე საქმე, რაც კი ხელმისაწდომია ახალგაზდა, განვითარებულის და ფხიზელის ყმაწვილ კაცისათვის, როგორც, მაგალითად, მე გახლავართ—და აშკარად დავრწმუნდი, რომ ქურდობა, რაც გინდათ სახელი უწოდოთ ამ ხელობას, ყველაფერზე უფრო მართებული ყოფილა და ვერც ერთს საქმეს ვერ დამისახელებთ იმისთანას, რომ ქურდობით არ ხელმძღვანელობდეს იგი; ადამიანმა რომ ტკბილად იცხოვროს, ფული სჭირია, ცხოვრებისათვის კი საჭიროა რაიმე საქმე, რაიმე მოღვაწეობა, რომელსაც სარჩულად ქურდობა უძევს. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, ჩემის გამოცდილებიდან ასეთი დასკვნა გამოვიყვანე: რადგან ადამიანის ბუნებრივი კანონი ღაღადებს—უნდა იქურდო და, ვინაიდგან ამ კანონს კაცი ვერ გადაუვლის,—განა უფრო პატიოსანი და უკეთესი არ არის, რომ ეგ ქურდობა უფრო პირდაპირ და დაუფარავად მოახდინო, ვიდრე ათასნაირის თვალთ-მაქცობით ქვეყანა ატყუილო, მით უფრო, რომ ახლა არც ტყუილები გადის და თვალებს ვერავის ვერ აუხვევთ და არც არავის სჯერა ეგ ყალბი და გარეგნული პატიოსნება. დიაღ, მე ყოველ ღამე პატიოსნურად და ფარულად შევდიოდი მდიდრების სადგომში საქურდლად. მე სამუდამოდ გადავსწყვიტე სხვის სკივრებიდან და ქისებიდან იმდენი ამოვიღო, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩემის ნივთიერის, გრძნობიერ და გონებრივის დაკმაყოფილებისათვის. ეს საქმე არც იმდენ დროს მართმევს, რომ შევწუხდე. ბალში ცეკვისა და კლუბში ქაღალდის თამაშობის დროს მე ჩემს საქმეს ვასწრობ და ვათავებ ხოლმე. სხვა დროს ყოველისფერში ისე ვცხოვრობ და ვიქცევი, როგორც სხვანი მრავალნი, და იმათზედაც უკეთესად ვცხოვრობ, მეტადრე, თუ კარგი და სარფიანი დღეებიც დამიდგა ხოლმე. ამისთანა შემთხვევაში მე ქველ-მოქმედებაზე უარს არ ვამბობ და კეთილშობილურის გრძნობით აღვიჭურვები ხოლმე!..

გაქურდ. და თქვენ ბედნიერი ხართ!

ქურდი. იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია კაცი ბედნიერი იყოს ამ ყალბად ცრუსა და გაუტანელ წუთი-სოფელში; ყოველ შემთხვევაში, მე არაოდეს არა ვგრძნობ ხოლმე, ეგრედ წოდებულ, სინიდისის ქენჯნას, რადგან ყველა ჩემს ნაცნობებში ერთად-ერთი კაცი ვარ, რომელმაც შევძელ ყოველივე ჩემი საქციელი შევუთანხმო ჩემს გონებასა და რწმენას ამ ქვეყნიურ ცხოვრების აზრის შესახებ (მწარე ღიმილით), თუ კი საზოგადოდ ცხოვრებას რაიმე აზრი მოეპოება!

გაქურდ. (მოწყენილის კილოთი). საქმეც ეგ არის და!.. მაგრამ ეგეც კაი: თქვენი როლი, ცოტა არ იყოს,—საშიშია... ადვილად შესაძლებელია, რომ ცუდად დააბოლოვოთ!..

ქურდი დიაღ, ან ცუდად, ან არა და საფრანგეთის მინისტრად გავხდე!—ოღონდაც ყველაფერი შესაძლებელია და, ამასთანავე, ნურც მაგას დაივიწყებთ, რომ ხანდახან ბედ-იღბალი ისეთს სასიამოვნო რასმე შეგამთხვევთ, რომ თქვენი მოწონებული...

გაქურდ. მესმის... ალბად შემთხვევები რომანტიულის ხასიათისა მშვენიერ ქალებთან, გასათხოვარ თუ გათხოვილებთან...

ქურდი. ზოგჯერ ეგეც არის ხოლმე (კვეხნით) ზოგჯერ კი არა, ხშირადაც...

გაქურდ. მართლა?.. ერთი მიამბეთ!.. ვგიჟდები ხოლმე მაგისთანა ამბების გაგონებაზე!

ქურდი. საიდუმლოს გამომჟღავნება პატიოსან კაცს არ შეჰფერის!..

გაქურდ. თქვენ კიდევ სახელს და გვარს ნუ მიიხსენიებთ!..

ქურდი. კეთილი. მე გიამბობთ ყველაზე საინტერესოს კი არა ჩემის რომანიდან, არამედ ყველაზე უახლოესს... ამ სამის დღის წინად მე გადავძვერ ერთის ლამაზის ქალის სადგომში. მე წინდაწინვე ვიცოდი, რომ იმ ღამეს ქალი მარტოდ-მარტო უნდა ყოფილიყო... უკვე მოვასწარ ჩამელაგებინა ჩემს გვადრუცში ყოველივე ძვირფასი ნივთები და სამკაულები, ოქრო და ვერცხლი, თვალმარგალიტები... და სწორედ ამ დროს გაიღება კარები და გამოჩნდება პერანგის ამარა თმა გაშლილი მშვენიერი ქალი, შიშით აძაგძაგებული და გაფითრებული...

გაქურდ. მეც აგრე დამემართა, თქვენ რომ განახეთ.

ქურდი (დაფანტვის კილოთი) მე თქვენს საწყენად არ ვამბობ, მაგრამ თქვენც დამეთანხმებით, რომ იმ ქალთან შეხვედრა ჩემთვის ათასჯერ უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე თქვენთან, თუმცა თქვენც პერანგის ამარა იყავით.

გაქურდ. გეთაყვა, რათა სწუხდებით... მე სულაც არა მწყინს... თქვენ ბრძანეთ, განაგრძეთ ღვთის გულისათვის—მაგისთანა ამბების მოსმენა ძლიერ მიყვარს!.. რანაირი, რა ფერი თმა ჰქონდა იმ თქვენს მშვენიერს ტიტლიკანა ქალს?—შავგვრემანი იყო თუ ქერა?

ქურდი წითელი თმა ჰქონდა!

გაქურდ. მართლა? ფაჰ, ფაჰ! მე ვგიჟდები ხოლმე წითელ თმის დანახვაზე.

ქურდი მეტად წარმტაცი რამ იყო და თან შემაცდუნებელიც... წარმოიდგინეთ—იშვიათი სილამაზე, თითქმის ტიტველა, შიში, ძრწოლვა და სხვა ამისთანები, ჰო, და სხვა ამისთანები!.. მე ავენთე, აღვზნებარდი... შემიბრალეთ, ნუ გამწირავთ... შემიბრალეთ, ნუ მომკლავთ! რაც გენებოთ, წაიღეთ, ოღონდ ნუ მომკლავთო, გაჰკიოდა ჩემი ტურფა... მე მაშინათვე მუხლებში ჩავუვარდი და შევევედრე—ნურაფრისა ნუ გეშინიან-მეთქი! ოჰ, მისი ტუჩები, მისი გულ-მკერდი, მისი ფუნჩულა ლოყები, მისი კისერი და თმები, გაშლილი თმები! ქალი მთლად თრთოდა და კანკალებდა! აცახცახებული და გონება-მიბნედილი, მე იგი ხელთ ავიყვანე და მოწიწებით გავიყვანე მეორე ოთახში, საიდანაც იგი გამოვიდა,—თავის საწოლში!

გაქურდ. ჰო-ჰო-ჰო! განაგრძეთ! საშინლად მიყვარს ამისთანა ამბები. მერე? მერე რაღა იყო? აჰა?

ქურდი. მერე? მეორე დღეს არც კი მიშვებდა, განუსაზღვრელის მადლობით მეჭიკჭიკებოდა.—„ჩემო სატრფო, რა კარგი რამ ყოფილხაროო!.. შენ მოკვლა კი არა, ადამიანის გაცოცხლება შეგძლებიაო!.. „ეჰ, ბევრი მინახავს და მახსოვს ამისთანა შემთხვევები?..

გაქურდ. დიაღ! ოღონდაც, რომ კაცს შეშურდება თქვენი მდგომარეობა. (ოცნებით) მრავალი შემთხვევა გაქვთ ხოლმე მაგვარ შეხვედრისათვის.—დიაღ, თქვენ ხელობას მრავალი სასიამოვნო მხარეცა აქვს.

ქურდი. თქვენ კი გამოსცდით თქვენს ძალას და ნიჭს ამგვარ ასპარეზზე?

გაქურდ. (სინანულით) რას ბრძანებთ! სადღა შემიძლიან ხელახლად დავიწყო? ჩემი დრო უკვე გადასულია—დავბერდი, ახლა ჩემთვის გვიანღა არის! (ადგება).

ქურდი. სამწუხაროა!

გაქურდ. იქნება მართლა სამწუხარო იყოს? (შეხედავს ფანჯარას, რომელთანაც დილის სინათლე შემოშუქს) თენდება კიდეც! (ხმაურობაა შემოსასვლელ კარებთან) და პოლიციელიც მოსულა. მეტად თავაზიანი კაცია ჩვენი უბნის გამგებელი (შემოდის პოლიციელი კომისარი) მე კი სრულებით დამავიწყდა, რომ მოგიწვიეთ!

IV.

პოლიციელი. რა იყო, რა მოხდა თქვენსა?

გაქურდ. (დარცხვენით ხან პოლიციელს და ხან ქურდს გადახედავს) საიმისო არაფერი, ბატონო კომისარო, და არა თუ საიმისო, სრულებით არაფერი!

პოლიც. არაფერიო? საკვირველია სწორედ! მაშ რისთვის დამიბარეთ! (აქეთ-იქით იხედება) ყველაფერი არეულ-დარეულია. როგორ? გაუქურდნიხართ?

გაქურდ. არა, ისე ნივთებს ვათვალიერებდით და, ხომ მოგეხსენებათ...—ეხლა ხომ გესმით?

პოლიც. სრულებით არა მესმის-რა!

გაქურდ. არც არა მე მესმის რამე! (უჩვენებს ქურდზე) ამ ვაჟბატონსაც, ალბად, არაფერი არ ესმის (ქურდი თავს უკრავს). ეჰ, ბატონო, კომისარო, ჩვენ ყველა ადამიანს ხშირად სულაც არ გვესმის ხოლმე, რაც ამბავია ჩვენს თავზე, თორემ, რომ გვესმოდეს და გაგვეგებოდეს, მაშინ ადამიანი კი არა, ღმერთები ვიქნებოდით!

პოლიც. მაინც არა გამეგება-რა და თან გაოცებული ვარ, რისთვის დამიძახეთ ასე საჩქაროდ?

გაქურდ. პრინციპის გულისათვის, მხოლოდ პრინციპისათვის!

პოლიც. (მოთმინებიდან გამოსული) თუ ღმერთი გწამთ, გარკვევით ილაპარაკეთ.

გაქურდ. მერწმუნეთ... უკაცრავოდ, რომ ტყუილ-უბრალოდ შეგაწუხეთ. (ალერსით და თავაზიანად გაისტუმრებს კარებში) გეპატიჟეთ გეთაყვა, ნახვამდის, ბ-ნო კომისარო!..

პოლიც. საკვირველია...

გაქურ. საკვირველი კი არა, ნახვამდის! ნახვამდის, ბ-ნო კომისარო! (პოლიციელი გადის).

ქურდი. თქვენ, ბატონო, დიდის გემოვნების გარდა, დიდი მოხერხებაც გქონიათ!.. სწორედ არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა!..

გაქურდ. რად იწუხებით—სამადლობელი არაფერია—თქვენ მე დიდად მასიამოვნეთ!

ქურდი. მეტს არ შეგაწუხებთ! თქვენი მასპინძლობა სწორედ დიდებული იყო და, მერწმუნეთ, რომ მე მაგას ჩემს დღეში არ დავივიწყებ!..

გაქურდ. თქვენი მოგონებანი ისე მრავალია და მრავალფეროვანი, რომ დღევანდელი შემთხვევა მალე წარიხოცება თქვენის ხსოვნიდან, თუ კეთილს ინებებთ და მასიამოვნებთ.

ქურდი. მიბრძანეთ.

გაქურდ. თუ ჩემთან ისაუზმებთ!

ქურდი. დიდად გმადლობთ, მაგრამ არ შემიძლიან.

გაქურდ. რატომ?

ქურდ. იმიტომ, რომ ახლა დილის შვიდი საათია და მე კი ფრაკში ვარ გამოწყობილი, რაიც, სხვა არა იყოს-რა, სასაცილოა და თანაც უხერხულობა, ხოლო მე სრულიადაც არ მინდა თქვენს პატივცემულ ოჯახში ვისმე უზრდელად ვეჩვენო... ამას გარდა, შინ უნდა გავეშურო, თორემ ჩემნი ხელქვეითნი ძლიერ შესწუხდებიან!

გაქურდ. აი, ბატონო, ტელეფონით მოელაპარაკეთ და დაამშვიდეთ.

ქურდი. მეტად გულკეთილი და თავაზიანი ბრძანდებით, მაგრამ არ შემიძლიან... დიდად გმადლობთ!

გაქურდ. თუ გნებავთ, ახლავე ეტლს მოვაყვანინებ.

ქურდი. დიდად გმადლობთ, აქვე ორ ნაბიჯზე საკუთარი ავტომობილი მელის.

გაქურდ. ჰო, თუ ასეა, რაღა გაეწყობა!

ქურდი. ნებას მომცემთ? იოსებ! (მსახური ჩააცმევს ქურქს) გვადრუცი! (მსახური გვადრუცს აიღებს) ნახვამდის ბ-ნო, ერთხელ კიდევ ბოდიშს მოგითხოვ!

გაქურდ. მაშ, ნახვამდის! იმედი მაქვს, რომ როდისმე ერთმანეთს კიდევ შევხვდებით, ხოლო, გეთაყვა, დილით. (ქურდი მიდის ფანჯრისაკენ და უნდა იქიდან გადახტეს) არა, მაგას არ გაყიბულებთ! აქეთ! კარებით მიბრძანდით, კარებით სჯობიან!

ქურდი. სრული ჭეშმარიტებაა! უკაცრავად, რომ ფანჯრიდან ვაპირობდი! მოგეხსენებათ, „ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო“! (თავს უკრავს ზრდილობიანად და გადის, მსახური უკან მისდევს).

ფარდა.

ვალერიან გუნია.

შემდეგ დამსწრენი მიიწვიეს სპარსულ დარბაზში, სადაც გაიმართა სხდომა. სხდომის გახსნისათანავე კავკასიის ნამესტნიკმა შემდეგის სიტყვით მიმართა კრებას: „დღევანდელი დღე დაუვიწყარი დარჩება კავკასიის მატიანეში. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანების თანახმად, მე მოგიწვიეთ თქვენ, რათა შევიმუშაოთ საფუძველი კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოსაღებად. იმედი მაქვს, რომ ყველა, ვინც მიწვეული იქნება ერობის შესახებ საკითხების გამოსარკვევად შემდგარ საბჭოებში, დაივიწყებს თავის პირად და პარტიულ შეხედულებას და მხოლოდ საზოგადო სარგებლობას იქონიებს მხედველობაში და ყურადღებას მიაქცევს მხოლოდ საზოგადო ცხოვრების მოწესრიგებას. საბჭოების სხდომები საჯარო იქნება,—მათზე გარეშეებსაც შეეძლებათ დასწრება, და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ისინი, ვისაც მარტო ერთი პრინციპი სწამთ,—პრინციპი წესიერების დარღვევისა, ეცდებიან შეაფერხონ საბჭოების საქმიანობის წესიერი მიმდინარეობა. იმედი მაქვს, რომ კეთილმოაზრეთა დიდძალი უმრავლესობა, რომელთათვის ძვირფასია გონებრივი და ნივთიერი განვითარება სამშობლოსი, მოახერხებს წესიერების დამრღვევთა დამშვიდებას. მაგრამ თქვენც, ბატონებო, გთხოვთ დაგვეხმაროთ, რათა საბჭოთა სხდომებზე წესიერება იქმნეს დაცული. ნაყოფიერ საქმიანობისთვის სიმშვიდეა საჭირო. სამშობლოს სიყვარულმა მაინც უნდა გვაიძულოს, მეცადინეობა არ დავაკლოთ, რომ კავკასიაში საერობო თვითმართველობის შემოღება მოხერხდეს. დღევანდელ კრებაზე საკითხს არსებითად არ შევეხებით,—ეს მერე უნდა მოხდეს, საცა სამაზრო და საგუბერნიო საბჭოები გამოსთქვამენ თავიანთ აზრს. ხოლო თუ ვისმე სურს სთქვას რამე საბჭოთა ორგანიზაციის შესახებ, ვსთხოვ თავისი აზრი გაგვაგებინოს“.

მცირე კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: საბჭოს წევრი მიცკევიჩი, ა. ა. ქალანთარი, ნამესტნიკის კანცელარიის უფროსი პეტერსონი, აგრონომი სააკოვი, ნამესტნიკის თანაშემწე სულთან კრიმ გირეი, ნაფიცი ვექილი ზახაროვი, გ. მ. თუმანოვი, ქუთაისის გუბერნატორი ე. ა. სტაროსელსკი და გენ. შირინკინი, სხდომა დასრულდა და დამსწრენი 6½ საათზე დაიშალნენ...

რუსეთი

რიაზანისა, ვიატკისა, ნოვგოროდისა, პენზისა, სამარისა, სარატოვისა, ტამბოვისა, ტულისა, ვლადიმირისა, ტვერისა, პსკოვისა, კოსტრომისა, მოსკოვისა, ნიჟეგოროდისა, ყაზანისა, სიმბირსკისა, კურსკისა, ვორონეჟისა, ხარკოვისა და ეკატერინოსლავის გუბერნიებში **სიმშილობა აუცილებელია.** ზოგან მოსავალი სულ წახდენილა, ზოგან კი იმდენად ცუდია, რომ გლეხები ყანებს არც კი მკიან, სულ ერთია, არა გამოვა-რაო. ამრიგად, რუსეთს ახალი უბედურება მოელის და არსებულ არეულობას სიმშილობა თავსა და ბოლოს დაუკარგავს (ს. ო.).

✦ წარსულ ხუთშაბათს ბელოსტოკის პოლიცმეისტერს **ყუმბარა ესროლეს** და ასგან დასჭრეს. პოლიცმეისტერს ორივე ფეხი მოსჭრეს, მაგრამ მორჩენის იმედი მაინც არა აქვთ. პოლიცმეისტრის გარდა, ამავე ყუმბრის ნამტვრევებით დაიჭრნენ იმისი შვილი—სტუდენტი და რამდენიმე გარეშე კაცი (ს. ო.).

✦ უკანასკნელ წლების განმავლობაში **გლეხობის ვალმა ერთი ორად იმატა.** ამ ამბავმა მთავრობა ძალიან დააფიქრიანა (ს. რ.).

✦ ამას წინად აღმოჩნდა, რომ ბალტიის სახაზინო ქარხანაში 3 **მილიონი მანათი გაუფლანგავთ ქარხნის ბიუროკრატებს.** ამ ორის წლის წინად ერთმა მოხელემ ეს ამბავი მთავრერობას აცნობა, მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქციეს და ერთგული მოხელე ადგილიდანაც დაითხოვეს. ახლა ეს ქურდობა გამოამჟღავნა ერთმა მოხელემ, რომელიც პირველ მოხელეს გაუყოლეს და ულუკმა-პუროდ დასტოვეს (ს. ო.).

✦ ეკატერინოსლავის საპოლიციო უბნების ზედამხედველებმა **პოლიცმეისტერს თხოვნა მიართვეს,** ან ჯამაგირი მოგვიმატეო, ან ადგილიდან დაგვითხოვეო. პოლიცმეისტერმა პირველ თხოვნას, ჯამაგირის მომატებას, ყური არ ათხოვა, ხოლო მეორე—ადგილიდან დათხოვნა დიდის სიამოვნებით შეასრულა (ს. ო.).

✦ 12 ივლისს ვარშავაში **ჩამოაღრჩვეს** ს. ოკრეეი, რომელსაც პოლიციელის მოკვლა ბრალდებოდა (ს. ო.).

✦ **პრესსის თავისუფლება.** ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა გაზეთი „ლოძინსკი ლისტოკი“ შეაჩერა (ნ. ქ.).

✦ „რუს. ვედ.“-ს ნიჟნი-ნოვგოროდიდან სწერენ: 9, 10 და 11 ივლისს **ხულიგანები ქალაქს იკლებდნენ.** სამის დღის განმავლობაში ბრბო ქალაქში დადიოდა; სახლებს სჩხრეკდნენ, ყველაფერს იკლებდნენ, იტაცებდნენ. და, თუ ინტელიგენტს მოასწრებდნენ—ჰკლავდნენ ან სჭრიდნენ. პოლიცია ბრბოს უკან დასდევდა და ხელს არ უშლიდა. მოკლულთა, დაჭრილთა და მძიმედ ნაცემთა რიცხვი ასამდეა (რ. ვ.)

✦ 9 ივლისს სედლეცში (ვარშავის გუბ.) **მოჰკლეს საერობო დარაჯი.** მკვლელი მიიმალა.

✦ 10 ივლისს კალიშში მოჰკლეს უფროსი საერობო დარაჯი. მკვლელი მიიმალა (რ. ვ.).

კორესპონდენცია

გურია. თუმცა ძარცვა-გლეჯამ გურიაში ამ უკანასკნელს დროს საგრძნობლად იკლო, მაგრამ სრულიად მისი აღმოფხვრა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ადამიანის გარდაქმნა არც ისე ადვილია, როგორც ითქმის. ამისთვის საჭიროა არა ერთი და ორი წელიწადი, არამედ ხანგრძლივი დრო.

„კუზიანს საფლავი გაასწორებს!“-ო, ნათქვამია. გურიაშიაც მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც მხოლოდ საფლავი გაასწორებს. მაგალითი თვალწინა გვაქვს.

ორშაბათს, 4 ივლისს, დილით, ნასაკირალზე რამოდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ხიდისთავიდან მომავალს დილიჟანსს და მგზავრებს გაძარცვა მოუნდომა. სანამ „რაინდები“ თავის საქმეს შეუდგებოდნენ, მათ შეამჩნიეს, რომ დილიჟანის თავზე რამოდენიმე კაცი იჯდა.

— ჩამოეთრიეთ ძირს! შარაზე პირქვე დაემხეთ და ზევით არ აიხედოთ!-ო—უბრძანეს მათ „რაინდებმა“. მაღლა მჯდომნიც ჩამოვიდნენ და საშინელ მტვერში განერთხნენ პირქვე მიწაზე.

შემდეგ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა გაჩხრიკეს მგზავრები, მაგრამ ბევრი ვერაფერი იპოვეს, თუმცა ფული ბლომად ჰქონდათ დილიჟანსში. ვიღაც ორაგველიძეს წაართვეს 30 მანათი და ერთ მგზავრსაც რევოლვერი აცალეს და მიიმალნენ.

ახლო-მახლო სოფლები თავ-გამოდებით ეძებენ ქურდებს და იმედიცა აქვთ მათის პოვნისა, რადგან მას შემდეგ, რაც სოფელმა თავის თავზე იდვა ქურდების გასწორება, იშვიათად დამალულა ვინმე „ცუდი კაცი“.

ხუთშაბათს, 7 ივლისს, დილით, ოზურგეთში, თავ. ილარიონ ნაკაშიძის ეზოში, ასტყდა საშინელი სროლა. ხალხი შეშინდა: ეს არის, კაზაკები შემოესივნენ ქალაქს და იკლებენო. დიდხანს ვერ გავიგეთ, რაში იყო საქმე. ქუჩაში არავის უშვებდნენ კაზაკები.

რამდენისამე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ წინა დღით თავ. ნაკაშიძეს მიუღია წერილი, რომლითაც, ვითომდ, გურიის კომიტეტი რუსეთის ს.-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა სთხოვდა მას სხვადასხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ექვს თუმანს. იქვე ყოფილა აღნიშნული ადგილი, სადაც ნაკაშიძეს ფული უნდა მიეტანა და ხის ფუღუროში ჩაედვა. უკანასკნელ ვადად ხუთშაბათი, 7 ივლისი, ყოფილა წერილში აღნიშნული...

წერილის მიღებისათანავე ნაკაშიძეს მოუხმია მეზობლები (საერთოდ გურიაში თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის აღარ არსებობს ისეთი ანტაგონიზმი, როგორც ეს ქართლ-კახეთშია, მაგრამ, კერძოდ, ამ თავადს მეტად ემადლიერებიან მეზობლები) და უთხოვნია: „გამიგეთ, თუ მართლა შემაწერეს ექვსი თუმანი გადასახადად—გადავიხდი. თუ ტყუილი გამოდგეს, დამიფარეთ ასეთ პირებისგან!“-ო.

გამოირკვა, რომ წერილი ფაქტიური ყოფილა.

მეზობლებმაც დაუწყეს დარაჯობა იმ ადგილს, სადაც „სოციალ-დემოკრატებს“ ფული უნდა მოეკითხათ.

დიდხანს აღარ მოუნდათ ლოდინი. გათენდა ხუთშაბათი დილა და თითო-ოროლა ბიჭებიც გამოძვრნენ ბუჩქებიდან და გულის ფანცქალით დანიშნულს ადგილისკენ გაქანდნენ: ეს არის გაუტეხელი წითელი თუმნიანები დაგვხვდება ხის ფუღუროშიო.

მაგრამ იმისთანა თქვენ მტერს, იმათ ფული დახვდათ!

მიჩენილმა დარაჯებმა სტაცეს ხელი. ასტყდა სროლა. მოვიდა პოლიცია კაზაკებითურთ და მოინდომა დამნაშავეთა წაყვანა, მაგრამ მოახსენეს: „ნუ სწუხართ, ჩვენ დავიჭირეთ, ჩვენვე დავსჯით!“ ო.

კვირას, 10 ივლისს, საზოგადო კრებაზე ორი დამნაშავე გამოტყდა კიდეც და ამხანაგებიც დაასახელა. მსჯავრი ჯერ არ დაუდვიათ, რადგან კრებაზე სხვა დამნაშავენი არ გამოცხადებულან.

შაბათს, 9 ივლისს, დილის ცხრა საათზე, ბაზარში მიმავალს თავ. გ. ნაკაშიძეს ვიღაც ორი უცნობი კაცი შეეხვნა გზას. ხუნდაძის აფთიაქთან, ძვირფასი ოქროს საათი აცალა და გაიქცა. საათი 400—500 მანათამდის ღირებულა. ეს გ. ნაკაშიძე ძმაა ბაქოს გუბერნატორად ნამყოფ განსვენებულ მიხეილ ნაკაშიძისა. საათიც მისი ნაქონი ყოფილა.

ამ გარემოებამ უფრო დაადონა თავადი, ძმის ნაქონი რომ არ ყოფილიყო, არაფერსაც არ ვიტყოდიო.

ეჭვი რამოდენისამე კაცზეა მიტანილი. თვით თავადიც იმედობს: რაკი ილარიონ ნაკაშიძე გადაარჩინა „ახალ თაობამ“, არც მე დამტოვებს უყურადღებოდაო.

საერთოდ, ეს ერთი კვირა—რაღაც არა ჩვეულებრივი იყო გურიისთვის. ამდენი ბოროტება, დიდი ხანია, არ გაგონილა.

მაგრამ, ხალხის ენერგიული ზომები, იმედია, ადრე მოუღებს ბოლოს ასეთ არა-ნორმალურ მოვლენებსაც.

მ. მაკ—თელი.

—

დაბა გუდაუთი (აფხაზეთი). ეს დაბა ერთად-ერთი სააღებ-მაცემო ცენტრია მთელის დასავლეთ აფხაზეთისათვის. მცხოვრებთა რიცხვი 24 ათასს აღემატება. დამაზე, მომაღლო, ზღვისკენ დაქანებული ადგილმდებარეობა აქვს, რის გამოც შედარებით მშრალია და თან ციებ-ცხელებაც, ეს აფხაზეთა განმანადგურებელი სენიც—ნაკლებადაა. ნავთ-სადგურსაც არა უშავდა-რა, რომ მომვლელი პატრონი ჰყავდეს.

თუმცა დაბა პატარაა, მაგრამ მისი წლიური ბიუჯეტი არ ჩამოუვარდება ჩვენ პატარა ქალაქების ბიუჯეტს, თუნდა ოზურგეთისას. ყოველი პირობა ხელს უწყობს გუდაუთის დაწინაურებას, მაგრამ ძლევა-მოსილმა ბიუროკრატიამ აითვალწუნა ჩვენი დაბა და უკანასკნელ 8—9 წლის განმავლობაში მხოლოდ და მარტო იმას სცდილობდა, როგორმე მისი ზრდა-წარმატება ხელოვნურად თუ არ ჰოსპო, ხელოვნურად შეეჩერებინა მაინც.

რუს-ოსმალოს უკანასკნელ ომიანობის შემდეგ, ადგილობრივი მთავრობა ხელს არ უშლიდა ქართველობას დასახლებულიყო შავის ზღვის პირად აფხაზეთის ნამოსახლარზე, მაგრამ მაშინ ქართველობამ ვერ ისარგებლა ამ ხელ-საყრელ მდგომარეობით: თავისუფალ სახელმწიფო ადგილებზე დასახლდა მხოლოდ ოთხი საზოგადოება მეგრელთა,—მერხეული, აკაფა, აბჟაყვა და ნაა (ნიკოლაევკა) და ერთიც სოფელი თლიქმი—ახალი ლეხნუმი (Пластунская); მათ გვერდით კი ტრაპიზონიდან ბერძნები და სომხები, ბესარაბიის მოლდავანები და ლიფლიანდიის ესტები დამკვიდრდნენ. 1889 წელს გამოიცა კანონი, რომელიც დაადგენდა,—შავის ზღვის პირად მდებარე თავისუფალ სახელმწიფო ადგილებზე რუსები უნდა დავასახლოთო. დაიწყო მედგარი და შეუპოვარი ეროვნული დევნა, დევნა უმაგალითო და საზიზღარი. ჯამბაზ რედაქტორ პალმის გაზეთმა უფრო შორსა და ღრმად შესტოპა და ყოველ დღე უჩიჩინებდა მთავრობას: „ნოვოროსიისკიდან ბათუმამდე და ზღვის პირიდან 25 ვერსის მანძილზე ერთი „ტუზემეცი“ არ უნდა გავაჭაჭანოთო“. აი, ამ საერთო დევნამ დაბა გუდაუთსაც ბოლო მოუღო. ბიუროკრატიამ (ადგილობრივმა მაინც) გადასწყვიტა, ორი წმინდა რუსული ქალაქი აედორძინებინა შავი ზღვის პირად, და ეს საპატიო როლი წილად ხვდა დაბა გუდაუთსა და ოჩამჩირეს. 1896 წლიდან ჯერ თითქოს გაუბედავად და ჩუმ-ჩუმად, მერე კი აშკარად და გაბედულად გუდაუთში ყველა ტუზემცებს აეკრძალათ სამოსახლო მიწების და უძრავ ქონების შეძენა. დაბას კი 800 დესეტინა მშვენიერი სამოსახლო მიწა აქვს მიზომილი, და თან იმ ხანებში 800 ნაჭერი მიწა (უჩასტკები) ჰქონდა დაზომილ-დაგეგმილი. თვითეული ნაჭერი იყიდებოდა 12—50 მანათამდის, რის გამოც ღარიბი ხალხი ადვილად იძენდა და მოსახლე-კარეობას იჩენდა. აი, ეს გარემოება შეშურდათ ძალიან გაბატონებულთ და აუკრძალეს დასახლება ყველა ტუზემცეს, ასე გასინჯეთ, აფხაზებსაც კი, რომელთა სისხლით, როგორც აბორიგენთა, მორწყულია მიწას ყოველი მტკაველი. ის ადგილი, სადაც ახლა გუდაუთია გაშენებული, წინად იყო გაუვალი ტყე და ჯაგნარი. ომერ-ფაშის მიერ დაბა ბომბორის აოხრების შემდეგ დუქნები აქ გადმოიტანეს და მოვაჭრენი შეუდგნენ გულმოდგინედ მუშაობასა, გაჩეხეს ტყე-ჯაგნარი, ამოაშრეს ჭაობები, გაიყვანეს გზები, გააშენეს საყდარი, ორი სასწავლებელი და სხვადასხვა და კოხტა და კეკლუცი ქალაქი აშენდა, სასარბიელო ლუკმად გადაიქცა. აი, სწორედ ამ დროს გაუჩნდნენ პატრონ-ბატონები: აფსუსი არ არისო, გაიფიქრეს, ამისთანა კეკლუცი დაბა „კატის კუდიდან*) გაჩენილ მეგრელთ (დიდი უმრავლესობა მცხოვრებთა **ქართველობაა**) ეკუთვნოდესო, და შეუდგნენ გულმოდგინედ მუშაობას, რის წყალობითაც ათის წლით შესწყდა ცხოვრება გუდაუთში, შეჩერდა მისი ბუნებრივი ზრდა. 1896 წლიდან დაწყებული დღემდე ბევრჯერ გუდაუთელთ რამდენი ხვეწნა, რამდენი საჩივარი და ვაივაგლახი გასწიეს სიმართლის მოსაპოვებლად და დაკარგულ უფლების შესაძენად, მაგრამ ამაოდ. გასაკვირველი და შესანიშნავი ის არის, რომ, რასაც უმაღლესი მთავრობა დაჰპირდებოდა, იმას ადგილობრივი ადმინისტრაცია ეწინააღმდეგებოდა. დაბოლოს ილაჯ-გაწყვეტილებმა შეჰმართეს დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს ცნობილ „იუბილეს“ დროს, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ნებართვა გამოვიდა—ყველამ ეროვნების განურჩევლად შეიძინოს სამოსახლო მიწები, მაგრამ ეს საქმე ისე მოაწყეს, რომ ღარიბი „ტუზემცები“ მაინც მშრალზე დასვეს: ჯერ ერთი, რომ ფასები ხელოვნურად საშინლად ასწიეს—თვითონ მთავრობამ დანიშნა, და, მეორეც ყველა მყიდველს უნდა დაედო პირობა: „безпрекословно подчиниться существующимъ и всѣмъ могущимъ быть существовать распоряженіямъ правительства!“ თუ წინად სამოსახლო ნაჭერი მიწა (250 კვ. საჟ.) ღირდა 12—50 მანათი, ახლა ასწიეს 1000—2000 მანათამდე! 1903 წლის 20 ივნისს, გაიცა რვაასივე ნაჭერი, მაგრამ 1905 წლის 11 იანვარს ყველა ეს „უჩასტკები“ ისევ დაბას დაუბრუნდა, რადგანაც ვერც ერთმა მყიდველმა ვეღარ შესძლო, დროზე შეეტანა მიწის ფასი და სამუდამოდ დაჰკარგა იგი.

როგორც ზევითაც მოვიხსენე, დაბის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ქართველობაა და ამიტომაც იყო, რომ 1896 წლამდის წირვა-ლოცვა სრულდებოდა ქართულად, ხოლო ამ წლიდან ბედის ჩარხი უკუღმა გადატრიალდა: არამც თუ ეკკლესიაში წირვა-ლოცვა აღკრძალეს ქართული, არამედ მან, მიცვალებულზე წესის აგებაც და ბავშვის მონათვლაც ქართულად არ შესრულდება! ბევრი საჩივარი და ვაი-ვაგლახი გასწიეს ამის თაობაზე გუდაუთლებმა, მაგრამ დღესაც მიზნისთვის ვერ მიუღწევიათ.

სამართლე მოითხოვს აღვნიშნო, რომ უკანასკნელ თვეებში ადგილობრივმა მღვდელ-ბლაღოჩინმა უწირა ქართულად და თან წინანდელს ეპისკოპოსს არსენის მისწერა, სამართლიანობა მოითხოვს ქართველთ სურვილი ავუსრულოთო—ხან-და-ხან ვუწიროთ მათ დედა-ენაზეო... დღეს ახალი სიოს წყალობით მიეცათ ნება დრო გამოშვებით ქართული წირვა-ლოცვა მოისმინონ ხოლმე.

დაბას აქამდის თავის თვითმართველობასავით ჰქონდა,—ჰყავდა მამასახლისი; ახლა ესეც შეშურდათ,—მოსპეს მამასახლისობა, შემოიღეს დეპუტატობა. — დეპუტატთ მეთვალყურედ ადგილობრივი „ნაჩალნიკი“ მიუჩინეს. „უნაჩალნიკოდ“ დეპუტატებს ნება არა აქვთ მკვდარი ძაღლიც გადაათრევინონ ქუჩიდან, ასე შეაჩვიეს ფორმალიზმით! აი, ამ ფორმალიზმის წყალობით ბევრი სასაცილო კურიოზებიც ხდება. მაგალითად, ექიმი აცნობებს: ამა და ამ ადგილას ყვავილია, პოლიციელი კი გაიძახის: „врутъ туземцы“ ო! განა სამწუხარო არ არის ასეთი მოპყრობა, სასაცილო რომ არ იყოს იგი?

ალი მურზა ხელიმ-ოღლი

თეატრი და ხელოვნება

დ. ცხინვალი. 14 ივლისს აქ წარმოდგინეს ვალ. გუნიას დრამა „და-ძმა“. რადგანაც წარმოადგენის ნებართვა ძლიერ გვიან მივიღეთ, ამიტომ გარეშე სოფლებიდან ცოტა დაესწრო. წინა დღეებში ვასო აბაშიძე გვესტუმრა, მას ეგონა ნება-დართული აქვთ წარმოდგენაო, მაგრამ, როცა გაიგო, რომ ჯერ ნება-რთვა არ აუღიათო, ნებართვის ასაღებად დაბრუნდა ტფილისში და რაღაც მიზეზის გამო აღარ ამოვიდა.

წარმოდგენა დაიწყო საღამოს ცხრა საათზე. წარმოდგენამ, საზოგადოდ, მშვენივრად ჩაიარა, საერთო ანსამბლით ერთი-ერთმანეთს ხელს უწყობდნენ როლების თამაშში. წარმოდგენის გათავებისას წაიკითხეს ლექსები. შემოსავალი ათ თუმნამდეა.

იმედია, ჩვენი სცენის მოყვარენი; გ. ვ. მაჩაბელი, ნიკო კვანჭახაძე, ს. ტერ-სტეფანოვი, ე. ელიოზიშვილისა, ნოზაძის ქალი და სხვანი, წარმოდგენებს არ მოგვაკლებენ. მადლობის ღირსია სცენარიუსი კ. ნოდია, რომელმაც ამ წარმოდგენაზე დიდი შრომა გასწია.

ქარ-ცეცხლი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! თუ თქვენც ისე, როგორც ქართულ სკოლის საზოგადო კრება, უალაგოთ არ დაინახავთ ამ ჩემს წერილს, გთხოვთ „ივერიის“ ერთ ერთ ფურცელზე აღბეჭდოთ. 19 ივნისს ბანკის დარბაზში დანიშნული იყო სააზნაურო სკოლის საზოგადო კრება. მე ნამდვილად ვიცოდი, რომ სკოლის კრებას შეადგენდნენ იგივე თავად-აზნაურნი, რომელთაც თავიანთ კრებაზე არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ტფილისში არსებულ ორ ქალთა სკოლის გამგეთა თხოვნას ამ სკოლების დახმარების შესახებ. ვიფიქრე, სკოლის საზოგადო კრებას მივმართავ საჩივრით ამ უყურადღებობაზე და ეს კრებული, სპეციალურად მოწვეული სკოლების ბედ-იღბალზე მოსალაპარაკებლად სამართალს დაგვიდგენს-მეთქი და წერილი მივართვი მის თავმჯდომარეს. ყველასათვის, მე მგონი, ნათელი უნდა იყოს, რომ აქ არავითარი უალაგობა და ვისიმე საქმეში უკანონოდ ჩარევას ადგილი არა უნდა ჰქონოდა. ქართულ სკოლის კრებას, ქართველ ქალთა სკოლების [illegible] შევჩიოდით და მსჯავრს ვითხოვდით, მაგრამ ზემოხსენებულ კრებას უადგილოდ უცნია ჩვენი მიმართვა და არ განუხილავს.

მხოლოდ ბატონ ექ. გაბაშვილს მოუხსენებია კრებისათვის, რომ შარშან მომავალ დედათა სკოლისათვის გადავდეთ 10,000 მ. და ვისი ბრალია, რომ თვითონ ქალებმა არ მოიხმარესო. ვთხოვეთ მარიამ ვახტანგის ასულს ორბელიანისას, რომ კვლავ შეუდგეს სკოლის გახსნის საქმესაო და საზოგადოებაც დაკმაყოფილებულა ამ დიადის ზრუნვით ქალთა განათლებისადმი და გადასულა სხვა საქმეების განხილვაზე.

ჩინებული პასუხია იმ სკოლების გამგეთათვის, რომელთაც იზრუნეს და უკვე დაარსეს და კარებამდის სავსე სკოლებსაც აწარმოებენ და ათი-ათასობით კი არა, ათეულობით სთხოვენ საზოგადოებას ხელის გამართვას! (ან იქნება ყურადღება მაშინ დაემსახურებოთ ამ საცოდავ სკოლებს, რომ ვინმე ორბელიანს ან მუხრან-ბატონს ჰბარებოდა მათი ბედი?).

სასაცილო არ არის ეს მოვლენა? ქართველი საზოგადოება მთელი ორი თვის განმავლობაში დაუღალავად ისმენდა ქართველ პედაგოგთა პროექტს ქართულ სკოლის რეორგანიზაციის შესახებ, დაუღალავის ყურადღებით ივლევდა ყოველ წვრილს ამ სკოლის წარსულის და აწმყოსას, საუკეთესო მომავლისთვის ემზადებოდა ნიადაგს და არც ერთი სიტყვა არ დასცდა ქალთა მომავალ განათლებაზე! არც ერთმა წევრმა საზოგადოებისამ, არც ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა ყურადღება არ მიაქცია ამ სამწუხარო ამბავს და, როდესაც ქალთა მკრთალი, ძლიერ მკრთალი ხმა გაისმა შებრალებისა და დახმარებისა იმ ორიოდ ქალთა სწავლის სავანისადმი, ამავე საზოგადოებამ გაჯავრებით თავიდან მოიშორა და სადღაც, ვიღასთანაც გაისტუმრა.

მართალია ამ კანხლების დროს, ამ საერთო მღელვარების დროს, როდესაც ყოველი სულდგმული სცდილობს სიცოცხლის ნიჭი გამოიჩინოს და ხმა მაღლა ყვირის თავის ტკივილზე, ქართველი ქალები მუნჯებად დარჩნენ, მაგრამ განა ეს აძლევს ნებას ქართველ საზოგადოებას თვითონ მიივიწყოს მთელი ნახევარი თავისის ეროვნებისა და ქალთა განათლების საქმეს ანდერძი აუგოს?! მით უფრო, რომ ქართველი საზოგადოება უნდა გრძნობდეს, რომ ქალები თვითონ საზოგადოებამ განგებ დაამუნჯა, წაართვა საშუალება ხმის ქონებისა. დიახ, მე მთელს ქართველ საზოგადოებას ბრალსა ვდებ, რომ ის განგებ ყურს იყრუებს და ხელს უწყობს ქართველ დედაკაცის გადაგვარებას. ოცდა-ხუთი წელიწადია, რაც სააზნაურო ვაჟთა სკოლები არსებობენ, მილიონამდე ფული და მრავალი ძალა დაიხარჯა ამ სკოლებზე და ქალთა საცოდავ ორ წერა-კითხვის მასწავლებელ კერძო სკოლებისთვის გროშებსაც არ იმეტებენ!.. „დაგვაცადეთ, ჯერ ვაჟებს ვუპატრონოთ.“ რათა? ჯერ ვაჟებს რათა და არა ერთად ქალებსაც და ვაჟებსაც? განა ამ ორის განუყრელის არსების განცალკევება, და ისიც მთელის საუკუნეების განმავლობაში, შეიძლება? არა, ამ დიდის საქმისთვის მარტო ქალის ძალა არა კმარა, ამისათვის საჭიროა მთელის საზოგადოების მედგარი ბრძოლა და, თუ საზოგადოება ყურს იყრუებს, ეს ჩვენის საზოგადოების სიყრუესა და ბეჩაობას ამტკიცებს!

დროა, ჩვენი აზიური თვითმპყრობელობა თავიდან მოვიშოროთ და (ამ საზოგადო ერთობის დროს) ქალის ძალებიც გამოვიწვიოთ საერთო ბედნიერებისთვის! ჩვენმა საზოგადოებამ უთუოდ ქალთა და ვაჟთათვის ერთნაირად უნდა იზრუნოს და, რაც აქამდის დაშავდა ამ განცალკევებით, ერთი ორად გაძლიერებულის მუყაითობით აღადგინოს! დაგვიანება ყველაფერში სავაგლახოა, დაგვიანება ქალთა განათლებისა დანაშაულია, გაუსწორებელი დანაშაული!

ეკატერინე გაბაშვილისა.

---

*) ადგილობრივმა მღვდლებმა—რუსებმა ეს ანეგდოტიც მოუგონეს მეგრელთ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგა)

18 ივლისი.

გოძიადანი, 16 ივლისი. ჩინელები ამბობენ, იმ ადგილებში, სადაც იაპონელები არიან დაბანაკებულნი, მრავალი სასაფლაოებია, რომლებიც ჰაერს შხამავსო. ჭები და წყაროებიც მოწამლულიაო. იაპონელები მალავენ, რომ იმათში და მუკდენის მიდამოებში შავი ჭირი გაჩნდაო.

ტოკიო, 17 ივლისი. უმთავრესი ბანაკი იუწყება, რომ კავალერიის რაზმი 15 ივლისს რიკოვოში (სახალინზე) შევიდა და შემდეგ გამობრუნდა, რადგან იქ დგომა მოუხერხებელი იყო. რუსებზე რომ დროით იერიში მიეტანათ, ვიდრე ისინი რიკოვოდან დასავლეთისკენ დაიწევდნენ, იაპონელები გაეშურნენ ჩქარის ნაბიჯით კავალერიის რაზმით ურთიერთში მიიტანეს და განდევნეს რუსები რიკოვოს ჩრდილო ნაწილიდან. ქალაქში ხელის ხელ მიუხდათ ბრძოლა. ქალაქი მთლად დაიჭირეს 16 ივლისს, დილის 8 საათზე. რუსების უმთავრესი ძალა, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა მარჯვენა ფრთეზე, სამხრეთისკენ გაემართა მოკლე გზით.

მარცხენა ფრთემ რუსები დაამარცხა ვოდენიკოვსკისთან. რუსებმა სამხრეთისაკენ დაიწიეს, იაპონელები დაედევნენ და რიკოვოს სამხრეთით რუსების ქვეითა ჯარი დახვდათ. 200 რუსი მოჰკლეს და 500 დაატყვევეს. 14 ივლისს იაპონელების მარჯვენა რაზმის წინააღმდეგ 3000 რუსის ქვეითა ჯარი მოქმედებდა 8 ზარბაზნით და მარცხენა რაზმის წინააღმდეგ 2000 მეომარი 4 ზარბაზნით.

რომი. დიპლომატები ლაპარაკობენ, ერთი დიდი სახელმწიფო სცდილობს, კოალიცია შეადგინოს ევროპის სახელმწიფოებისა, ამერიკის მეთაურობით, რომ იაპონიას მომავალ მოლაპარაკებაზე შეუმცირონ მოთხოვნილება და ბევრი რამ არ აკუთვნოს, რომ იმით შორეულ-აღმოსავლეთში დაინტერესებულ სახელმწიფოებს შემდეგში არა ევნოს-რა.

ნიუ-ჯუანი. რუსები ცდილობდნენ იაპონელების სასურსათო საწყობები გადაეწვათ სინმინტინთან და კოლიტუანთან, მაგრამ ამაოდ. მალე მოსალოდნელია დიდი ბრძოლა ორთავე მებრძოლ ლაშქრებისა.

კანეა. კონსულმა ვალმა გამოუცხადა აჯანყებულთა დეპუტატებს, რომ კრიტოსზე წესიერების აღდგენა შეიძლება, თუ რომ ბატონიშვილი გიორგი კომისარობიდან გადადგებაო. ამ განცხადებამ დიდი მღელვარება გამოიწვია.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

„კავშირის“ საწყობში ისყიდება
ოთხი ახალი წიგნი:

1) **წერილი სოფლელ მუშას,** თხზ. ტ. ართმელაძისა, ფასი 10 კაპ.
2) **სადღეისო წერილი ქართველ სოფლელებს,** მისივე, ფასი 5 კაპ.
3) **ბუდდა და მისი სწავლა ცხოვრება-სიცოცხლეზე,** ფასი 5 კაპ.
4) **ფუტკრის გონიერი მოვლა-მოშენება,** ა. დ.-სა, ფასი 10 კაპ.

ვინც ერთის მანათისას მაინც გამოიწერს, გასაგზავნი ხარჯი ჩვენია. დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Тифлисъ, Тумановскій пер. № 38, Ивану Павловичу Ростомашвили. (3—1).

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა **ლექსები და პოემები** დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—15)

ДЕНИСОВСКИЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (0—6—8).

საინტერესო და საყურადღებო ახალი რომანი
„ცხოვრება და სიყვარული“

წიგნი დიდი ზომისაა, დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი. შეიცავს 320 გვერდს და გაგზავნით ღირს **მხოლოდ ორ აბაზად.** იქავე ისყიდება „ლექსები და პოემები“ და მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან „ვარინკას ამბავი“. თითო წიგნი შეიცავს ას გვერდზე მეტს და გაგზავნით ღირს მხოლოდ თითო აბაზად. გამოწერა შეიძლება მარკებითაც. მსურველთ მიმართონ სადგურ მიხაილოვში, ბათუმისკენ რკინის გზის ბილეთების გამყიდავ კასირს ჩარხიშვილს. Ст. Мих. кассиру Чархишвили. (5—4)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 18 іюля 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.